საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვეული სიფფეა, ფეფილებით და ჭიფებით ბეფ-თის გაფანა ყველა ეკალისიბაგ ესაძაგლესია.

ორშაბათი, 10 აპრილი. 2023 წ. №41 (9573) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

9 აპრილის გაკვეთილები

იხ. 3 გვ.

მე შიშველი ხელით ვებრძვი იმპერიას, ჩემი იარაღი სიმართლეა...

ზვიად გამსახურდია:

დიდ საქმეს თან ახლავს ღალატი!..



იხ. 6 გვ.

საქართველოს გვარეობის წინამძღოლთა დარბაზი

გვარის მცირერიცხოვნობა ხელს არ უშლის სასიკეთო საქმეების კეთებას

ჩვენი გულარხეინობით კიდევ უარეს დღეში ჩავვარდებით...

იხ. 2 გვ.

ათვლის წერტილი

9 აპრილი გამორჩეული დღეა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ერთი მხრივ, იგი დაკავშირებულია იმ დიდ ტკივილთან, რომელიც 34 წლის წინ რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა და 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი უკვდავი სულნი); მეორე მხრივ კი, სიხარულთან, რადგან 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და 9 აპრილი თავისუფლებისკენ მსწრაფი თანამედროვე საქართველოს ათვლის წერტილად იქცა.

წელს ამ თარიღს ემთხვევა უდიდესი ქრისტიანული ზეიმიც – იერუსალიმში დიდებით შესვლა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. უფლის ამქვეყნად მყოფობის პერიოდში ეს იყო ერთადერთი დღე, როდესაც ისრაელის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღიარა იგი, ვითარცა მეუფე და მხსნელი და დიდი სიხარულითა და სიყვარულით ეგებებოდნენ, პალმისა და ზეთისხილის ტოტებს უფენდნენ და ოსანას უგალობდნენ...

ეს დღე ყველა მორწმუნე ქრისტიანისთვის განსაკუთრებული სიხარულისა და სიკეთის დღეა, უფლის დიდების, ლოცვისა და დალოცვის დღე.

ჩემის მხრივ, მეც ყველას გლოცავთ და თქვენს თავსა და სრულიად საქართველოს ვავედრებ იესო ტკბილს.

9 აპრილის გმირთა ხსოვნას ჯეროვანი პატივი მიაგეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკო და დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო.

მთავრობის მეთაურთან ერთად მემორიალთან იმყოფებოდნენ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე, მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის წევრები.

როგორი იქნება ქართული კულტურის ცენტრი წმინდა მიწაზე?

იხ. 7 გვ.

პრეზიდენტმა ნანა მახარაძე და ნანა მალაშხია ღირსების მედლებით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მტკიცე სამოქალაქო პოზიციის გამოვლენისა და საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისთვის **ნანა მახარაძე** და საქართველოს ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში მტკიცე და აქტიური სამოქალაქო პოზიციის გამოვლენისთვის **ნანა მალაშხია** ღირსების მედლებით დააჯილდოვა.

„მინდა, მოვიწვიო ორი ადამიანი – ნანა მახარაძე, რომლის სურათი გასცდა საზღვრებს და მთელ მსოფლიოში მას იცნობენ, როგორც 9 აპრილის სახეს. მეორე, ნანა მალაშხია, რომელიც გახდა ევროპული მომავლის საქართველოს სახე და გავიდა საზღვრებს გარეთ. ამით დავანახეთ მსოფლიოს, რა არის საქართველო, რა უნდა საქართველოს და რა უნდათ ქართველ ქალებს. მინდა, ვთქვა ისიც, რომ მათ დავაჯილდოებთ, მაგრამ ეს ჯილდო პერსონალური არ არის, ეს ეძღვნება 9 აპრილის ქალებს, ასევე ეძღვნება ყველა იმ ქალს, რომლებიც ამ და სხვა პერიოდში იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და საქართველოს მომავლისთვის“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

კათოლიკურმა ეკლესიამ გუშინ აღდგომის დღესასწაული იზეიმა



ვატიკანში, წმინდა პეტრეს ბაზილიკაში **რომის პაპმა ფრანცისკემ** საზეიმო წირვა აღავლინა. პონტიფიკოსმა ქადაგებისას დაგმო ომი და უსამართლობები და მორწმუნეებს მოუწოდა, მიმართონ ღმერთს უმწეობის შეგრძნების დასაძლევად.

„ზოგჯერ ჩვენ შეიძლება, უბრალოდ, ვიღლებით ყოველდღიური რუტინით, ვიღლებით რისკზე წასვლით ცივ, რთულ სამყაროში, სადაც მხოლოდ ჭკვიანები და ძლიერები აღწევენ წარმატებას. ზოგჯერ, შეიძლება, უიმედოდ და უმწეოდ ვიგრძნოთ თავი ბოროტების, კონფლიქტების წინაშე, გულგრილობის წინაშე, რომელიც თითქოს ჭარბობს საზოგადოებაში და ანგრევს ურთიერთობებს, ავრცელებს უსამართლობასა და ომის ყინულოვან ქარებს“, – აღნიშნა რომის პაპმა. რომის პაპი წმინდა პეტრეს ბაზილიკის აივნიდან მორწმუნეებს ტრადიციული „ურბი ეთ ორბი“ ქადაგებით მიმართავს.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა ყველას, ვინც ეს მოვლენა გუშინ, 9 აპრილს აღნიშნა.

„აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ ყველას, ვინც ქრისტიანებისთვის ამ უმნიშვნელოვანეს და ღირსშესანიშნავ მოვლენას დღეს აღნიშნავს.

ვუერთდები ამ დიდ სიხარულს და გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობასა და კეთილდღეობას“, – წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა მილოცვისას.

ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორია - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

რეაბილიტაციის პირველი ნაწილი დასრულდა

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის (ფილარმონიის) მიმდებარე ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე დაასრულა, – ინფორმაციას ამის შესახებ თბილისის მერია ავრცელებს.

პროექტის ფარგლებში შესრულებულ და დაგეგმილ სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მის მოადგილესთან, ანდრია ბასილაიასთან და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსთან, გიორგი აბუთიძესთან ერთად გაეცნო. როგორც კახა კალაძემ განაცხადა, აღნიშნული სივრცე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და ის იერსახის უცვლელად განახლდა.

„დავასრულეთ ფილარმონიის წინ არსებული სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი. აღნიშნული სივრცე იყო მთლიანად ამორტიზებული – დამტვრეული ფილები, მოშლილი საღრენაჟო სისტემა, ქვემოთ არსებულ ოთახებში წვიმის დროს წყალი ჩადიოდა. ეს ყველაფერი მოწესრიგდა. თქვენ იცით, რომ აღნიშნული სივრცე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და რა თქმა უნდა, პირვანდელი სახით აღდგა. სამუშაოების მეორე ეტაპზე განხორციელდება შადრევნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, „მუზის“ ქანდაკებაც რეაბილიტირდება და გაიწმინდება“, – აღნიშნა კახა კალაძემ. მერიის ინფორმაციით, ე.წ. ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორია მოპირკეთდა ბუნებრივი ქვის ფილებით; მოეწყო ჰიდროიზოლაცია, რათა უხვი ნალექის დროს სარდაფები დაცული იყოს დატბორვისგან; განახლდა საკონცერტო დარბაზთან ასასვლელი კიბეები. უახლოეს პერიოდში, დაგეგმილია ლითონის მოაჯირების მონტაჟი, რომელიც დამზადების პროცესშია. ასევე, დაიწყება ტერიტორიაზე არსებული შადრევნის რეაბილიტაცია.

ტაო-კლარჯეთში ქართული ტაძრები იტბორება!

ჩვენი გულარხეინობით კიდევ უარეს დღეში ჩავვარდებით...

გეგერი ტაოს ნაწილი წყალში იძირება. დღევანდელი თურქეთის ართვინის პროვინციაში მდებარე პატარა ქალაქი იუსუფელი, რომელსაც წინათ ქართული სახელი ახალთა ერქვა, იტბორება. თურქეთში გიგანტური კაშხლის აგება ცალკეულ ქართულ ტაძრებსაც დატბორვას უქადის. მართალია, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მდებარე ოშკს, ხახულს, ოთხთას, იშხანს, პარხალს, ხანძთას, დოლისყანას წყალი არ დატბორავს, მაგრამ წყალში ჩაძირვა ემუქრება სხვა ეკლესიებს – ახალთის ეკლესიას, სოფელ კოწახურას ჯალის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს, კავკასიძეების ციხესიმაგრეს და გაზილიკურ ეკლესიას. ამიერიდან ეს ციხე მხოლოდ წყალმცოლოგისას გამოჩნდება. თამარის ხიდები კი უკვე წყალმა დაფარა.

თავის დროზე შევარდნაძესა და დემირელს შორის დაიდო ქართველებისთვის წამგებიანი ხელშეკრულება, რომლითაც საქართველომ თანხმობა განაცხადა ჭოროხზე კაშხლები აგებულიყო. შედეგად მდინარე ჭოროხსა და მის შენაერთებზე აიგო კაშხლები. როდესაც თვით თურქული პრესაც კი წერდა, ართვინის პროვინციაში მდებარე პატარა ქალაქ იუსუფელში წყლით უნიკალური ქართული ძეგლები იფარებაო, შევარდნაძის გარემოცვამ განაცხადა, ხელშეკრულების დადებისას ჩვენ მხოლოდ გარემოს დაცვა გვევალებოდა, ძეგლების ბედი კი იუნესკოს გადასაწყვეტი იყოო. ასე გულგრილად მოექცნენ ქართულ ძეგლებს.

თურქეთის ყველაზე დიდი და მსოფლიოში სიდიდით მეხუთე წყალსაცავი იუსუფელი შარშან გაიხსნა. წყალსაცავის კაშხლის სიმაღლე 275 მეტრია, რაც ასსართულიანი შენობის სიმაღლეს შეესაბამება. კაშხალი ელექტროენერგიის გამომუშავებას 2023 წლის 29 მაისს დაიწყებს.

იუსუფელის კაშხალი არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ძეგლებს ემუქრება, არამედ დიდ პრობლემას შეუქმნის შავი ზღვის სანაპირო ზოლს, განსაკუთრებით, ქობულეთს. თავის დროზე იუნესკოსთვის რომ მიგვემართა და ქართული ძეგლები დაგვეცვა, შეიძლებოდა ასეთი შედეგი არ მიგვეღო, მაგრამ ეს არ გაკეთდა. შემდეგ უკვე მტკვრის წყლის ნაწილი გადაუშვეს ჭოროხში აუზების შესავსებად და იმ ტერიტორიაზე წყალი იმდენად შემცირებულად მოედინება, რომ ფეხით გავლაც შეიძლება მტკვარზე ზაფხულში, ეს უკვე სააკაშვილის დროს მოხდა. ფაქტია, შევარდნაძის და მის შემდეგაც თურქეთის სასარგებლო საქმე გაკეთდა.

რატომ ვერ მოხერხდა ქართული პოზიციების დაცვა თავის დროზე, მით უფრო, როცა საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მის ტერიტორიაზე არსებული სხვა ქვეყნების ისტორიული ძეგლები?

საქართველოს ყოფილი კონსული ტრაპიზონში, თურქოლოგი **ზაურ მჭედლიშვილი** აცხადებს, რომ მდინარე ჭოროხზე კაშხლის აშენების გეგმა თურქეთს 10-12 წელია, რაც აქვს.

იხ. 11 გვ.

რატომ ვერ მოხერხდა ქართული პოზიციების დაცვა თავის დროზე, მით უფრო, როცა საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მის ტერიტორიაზე არსებული სხვა ქვეყნების ისტორიული ძეგლები?

მე შიშველი ხელით ვებრძვი იმპერიას, ჩემი იარაღი სიმართლეა...

ზვიად გამსახურდია ინტერვიუ ამერიკის ხმასთან, 1991 წელი. ამ დროს სსრკ ჯერ კიდევ არსებობდა ფორმალურად.

ინტერვიუს რომელსაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი კონსტანტინე გამსახურდია აქვეყნებს, „აიპრესი“ უცვლელად გვთავაზობს:

ზვიად გამსახურდია:

დიდ საქმეს თან ახლავს ღალატი!...

– თქვენთვის ცნობილია,რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ აშშ-ში, მაგრამ მათ საკმარისი მხარდაჭერა ვერ მიიღეს. რას გვეტყვით ამ საკითხზე?

– სამწუხაროა, რომ აშშ-ს არ სურს ცნოს ბალტიისპირეთის, საქართველოს და სხვათა დამოუკიდებლობა. აშშ, გერმანია და სხვა დიდი ქვეყნები კვლავ იმედებს ამყარებენ სსრკ-ზე, გორბაჩოვზე, მაგრამ ეს ხელს ვერ შეუშლის ჩვენი ქვეყნების სწრაფვას თავისუფლებისკენ, ჩვენ დავასრულებთ სსრკ-ს არსებობას და მათაც მოუწევთ ამის აღიარება.

– ბატონო პრეზიდენტო, რთული გზა აირჩიეთ.

– იოლად მოსაპოვებელი არასდროს არაფერი მიზიდავდა.

– 70 წლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმით ცხოვრობდა ქვეყანა. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი შეგნებული ცხოვრება იბრძოდით ამ რეჟიმის წინააღმდეგ. რა შეგიძლიათ გვითხრათ „კომუნიზმის“ შესახებ, რა არის ეს „კომუნიზმი“, საერთოდ როგორ აღიქვამთ სიტყვა „კომუნიზმს“?

– როგორც ყოველგვარი სიცრუის და სიყალბის სიმბოლოს! რაც შეეხება თვითონ კომუნიზმის თეორიას, ეს არის უდიდესი საფრთხე კაცობრიობისთვის, მისი განვითარებისთვის. „კომუნიზმი“ ნიშნავს ყოველგვარი დემოკრატიულის, ყოველგვარი ეროვნული თვითგამორკვევის განადგურებას, იგი ანტიკულტურული და ანტიადამიანური, დემონური მოძღვრებაა.

– ბატონო ზვიად,თანამედროვე ან წარსული დროის რომელი პოლიტიკოსი, ქართველი თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელია თქვენთვის ყველაზე ახლო და მისაღები თავისი მოღვაწეობით და სულიერი კულტურით?

– ჩემთვის ყველაზე ახლობელი პოლიტიკური მოღვაწე დღევანდელობაში არის პრეზიდენტი რეიგანი,რომლის უდიდესი თაყვანისმცემელიც ვარ და დავრჩები ასეთად მთელი ჩემი ცხოვრება. არც თუ ისე შორეულ წარსულში,უდიდეს პატივს ვცემდი პრეზიდენტ დე გოლს,რომელიც აგრეთვე მიმაჩნია უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ.

– როგორია თქვენი ურთიერთობა ამერიკის კონგრესთან?

– ამერიკის კონგრესთან გვაქვს საუკეთესო ურთიერთობები. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, თუმცა ამაზე შეიძლება მე არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან არცერთ პიროვნებას არ ღირსებია ის, რომ მის საპატივცემულოდ ამერიკის კონგრესის კაპიტოლიუმის შენობაზე დროშა აღემართათ.

– თქვენ პირველები იყავით საბჭოთა იმპერიაში, ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები.თუ შეიძლება გვითხარით, კიდევ რაში უნდა იყოთ პირველნი?

– დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში. ამ ტოტალიტარულ იმპერიაში უნდა ვიყოთ დემოკრატიული კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ.

– მაგრამ თქვენს გუნდში ბევრი მოღალატე აღმოჩნდა.

– დიდ საქმეს თან ახლავს ღალატი. ამაში სენსაციური არაფერია. ამ გზაზე ბევრს შევხვდი, ბევრჯერ მინახავს ადამიანური სისუსტეები, მაგრამ ერთი მარადიული თანამგზავრი არასდროს მტოვებდა. ეს იყო მერაბ კოსტავა. მის გარეშე მე ვერაფერს შევძლებდი.

– თქვენი პირადი მეგობარი, ჩეხეთ-სლოვაკეთის პრეზიდენტი, დიდი ხანი არ არის, რაც გახდა ადგილობრივი ტელევიზიის სადისკუსიო გადაცემის წამყვანი. თქვენ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, პოეტს, მთარგმნელს და ბელეტრისტს, არ გსურთ გქონდეთ ასეთი მომიჯნავე პროფესია, პრეზიდენტობასთან ერთად?

– ჰაველისთვის ეს უფრო ადვილია. იმიტომ, რომ კრემლი იქიდან თავისით მიდის. იქ უკვე მშვიდობაა...

– თქვენი პირადი თვისებებიდან რომელს გამოარჩევდით?

– ჯერ ვერავინ მოახერხა შეუცდომლად გაევლო ცხოვრების გზა. საკუთარ თავზე საუბარი არ მახასიათებს,მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ პირადი კეთილდღეობისთვის საქვეყნო საქმის ღალატი თავში არასდროს გამივლია. შეცდომები კი საკმარისზე მეტი დავუშვი.

– თქვენს საჯარო გამოსვლებში ხშირად გაისმის ისეთი სიტყვები როგორიცაა – „მოღალატე“, „აგენტი“ და ა.შ... რა არის ეს ტრადიციული კავკასიური ემოციურობა, თუ რეალური პოლიტიკური პოზიცია საკუთარი ოპონენტების მიმართ?

– მე მიყვარს, როცა საგნებს თავიანთ სახელებს ვარქმევ. რას მიბრძანებთ, რა დავარქვა იმას, როცა მერკანტილური ინტერესი წინ ეღობება ისტორიულ ამოცანას? მე შიშველი ხელით ვებრძვი იმპერიას, ჩემი იარაღი სიმართლეა...

– გეგმავთ თუ არა შეხვედრებს მოსკოვში?

– ნებისმიერი შეხვედრა მისალმებით და კეთილი სურვილებით იწყება. მე არ გამაჩნია ეს სურვილები საბჭოთა კავშირთან. ვიდრე კრემლი საქართველოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მე იქ არაფერი მესაქმება.

– გჯერათ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ?

– მე მჯერა იდეის. თუ ადამიანი ფიქრობს,რომ ყველა ოცნება მისივე ცხოვრებაში უნდა ახდეს,ესე იგი, მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის უცხოვრია. ჩემი ოცნება დღეს ხალხმა გაიზიარა, ეს არის ყველაზე დიდი გამარჯვება.

1918 წლის 26 მაისი და არა 1991 წლის 9 აპრილი!

26 მაისი თუ 9 აპრილი? როდის უნდა აღინიშნებოდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე? შეიძლება თუ არა ამ ორი თარიღის დაპირისპირება და ორი ახალი წლის ანალოგიით ხელმძღვანელობა? იქნებ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის თარიღს უახლეს ისტორიაში კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ ისტორიულ წიაღსვლებში, რადგან რაც უფრო ძველია ეს თარიღი, მით უფრო მყარია არგუმენტი, რომ ჩვენ დამოუკიდებელნი ისტორიულად ვიყავით, თუ არ ჩავთვლით ჩვენი ისტორიის ცალკეულ მძიმე ფურცლებს, როცა ამა თუ იმ დიდი დამპყრობლის უღელი გვედგა.

დღესაც ცალკეულ პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ 9 აპრილი უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებლობის დღედ, ხოლო 26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის თარიღად.

ამისთვის პეტიციების შეგროვებას იწყებენ და მიიჩნევენ, რომ ზვიად გამსახურდიას ღვაწლის უგულებელყოფაა, როცა 9 აპრილს სათანადო პატივს არ მივაგებთ და ბოლო 32 წლის განმავლობაში მცდარად აღვნიშნავთ 26 მაისს დამოუკიდებლობის თარიღად.

იხ. 7 გვ.

ოპოზიცია წუწკი და წყალწაღებულია!!!

ევროპაში თითქმის გადაწყვეტილია, საქართველო 2023 წელს კანდიდატის სტატუსს მიიღებს, რაც ოპოზიციის გეგმებს თავდაყირა დააყენებს“

კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი საქართველოში კვლავ პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი ხდება. ხელისუფლება ოპოზიციას ადანაშაულებს იმაში, რომ მათ არ სურთ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პიროგებში საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს. მმართველი გუნდი ოპოზიციის ნაწილს ღიად სდებს ბრალს იმაში, რომ ოპონენტები დასავლელ პარტნიორებთან ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობენ. „ქართული ოცნების“ განმარტებით, ოპოზიციის გეგმა ასეთია – საქართველომ წლის ბოლოს არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რის შემდეგაც ქვეყანაში მასშტაბური აქციები და არეულობა დაიწყება.

სახელისუფლებო პარტიის მტკიცებით, პარალელურად, ოპოზიცია შეეცდება „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოაშოროს და ქვეყანაში მეორე ფრონტი გახსნას. თუმცა, ყველაფერი ეს წყალში ჩაუცვივდებათ მას შემდეგ, რაც 2023 წლის შემოდგომაზე ბრიუსელის გადაწყვეტილება დადებითი იქნება და ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მიიღებს.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, რადიკალური ოპოზიციის ერთადერთი ინტერესი არის კანდიდატის სტატუსის საბაბად გამოყენება ქვეყნის ასარევად და იგივე ინტერესი აქვთ რადიკალური ოპოზიციის პატრონებს.

„რამდენიმე დღის წინ პარლამენტში მოხსენების დროს სალომე ზურაბიშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველო არც შარშან იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს და არც წელს იმსახურებს, ანუ ისიც ჩაერთო კანდიდატის სტატუსის საწინააღმდეგო კამპანიაში. ისინი არ მალავენ საკუთარ სურვილს, ერთადერთი ინტერესი არის კანდიდატის სტატუსის საბაბად გამოყენება ქვეყნის ასარევად. ეს ინტერესი აქვს საქართველოში რადიკალურ ოპოზიციას და იგივე ინტერესი აქვთ მათ პატრონებს – ეს არის გლობალური ომის პარტია, რომლის ინტერესია საქართველოში მოხდეს უკრაინიზაცია. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოვლენები ამ მიმართულებით არ განვითარდეს. ჩვენი ინტერესია, რომ არ მოხდეს საქართველოს უკრაინიზაცია, ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და საქართველოში იყოს მშვიდობა“, – აღნიშნა კობახიძემ.

* * *

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** მიიჩნევს, რომ დასავლეთმა დაინახა, საქართველოში არ არსებობს ძალა, რომელსაც ხელისუფლების გადაბარება შეუძლია, ამიტომაც გაურკვეველი თამაშის შეწყვეტა მოინდომა. ქართველიშვილი მიიჩნევს, რომ ევროპაში თითქმის გადაწყვეტილია, საქართველო 2023 წელს კანდიდატის სტატუსს მიიღებს, ეს კი ოპოზიციის გეგმებს სრულიად თავდაყირა დააყენებს.

„ამ ყველაფერში ძალიან დიდი წვლილი „ხალხის ძალამაც“ შეიტანა, რადგან სწორედ ჩვენს მიერ ინიცირებულმა კანონპროექტმა ოპოზიციის გეგმების მთლიანი ლუსტრაცია მოახდინა. ოპოზიციის საშემოდგომო გეგმები მთლიანად გაშიშვლდა. ჩვენ ოპოზიცია ვაიძულეთ, რომ ამ გეგმების ვადაზე ადრე განხორციელება მოეხდინათ. ოპოზიცია ამისთვის კი როგორც ორგანიზაციულად არ იყო მზად, ასევე მათი არგუმენტი არ იყო მყარი, რომელიც ჩვენს კანონპროექტს რუსულ კანონად შერაცხავდა. არადა იგივე კანონის ინიცირებაზე ევროკავშირში ისაუბრეს. ეს ყველამ კარგად იცის და ცილისმწამებლური კამპანია სარევოლუციო მუხტის მომტანი ვერ გახდა. სამაგიეროდ, ამ პროცესებმა მთელი რიგი რისკები გამოავლინა. როდესაც რუსეთიდან მუქარა მოგვესმა და გაგვაფრთხილეს, რომ თუკი თბილისში არეულობა ოკუპირებულ, სეპარატისტულ რეგიონებს საფრთხეს შეუქმნის, რუსეთი მზად იქნება, რომ საქართველოს დედაქალაქი მიწასთან გაასწოროს.

ეს ბრიუსელში და ვაშინგტონშიც მოისმინეს. ამიტომ სასწორზე ძალიან სერიოზული საფრთხე დადგა. საქართველო დღეს უკვე ძალიან სერიოზულ გლობალურ, პოლიტიკურ პროექტებთან არის დაკავშირებული. ამიტომ საქართველოს დაყენება ამ რისკის წინაშე დასავლეთს აღარ აწყობს. მიხვდნენ, რომ ამ მკვდრადნაშობი ოპოზიციის ხელისუფლებაში დაბრუნება არაფერს მისცემთ და რისკის მატარებელია. დაინახეს, რომ 7-8 მარტსაც კი ხალხში ოპოზიციას არანაირი ავტორიტეტი არ ჰქონდა. ის, რაც მათ ჩაფიქრებული ჰქონდათ, უბრალოდ, არ გამოვა. არ არსებობს საქართველოში დღეს პოლიტიკური ძალა, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში ქვეყანას გადაიბარებს. როგორც იქნა ამას დასავლეთში მიხვდნენ. ამიტომაც გადაწყვეტილი აქვთ, რომ ეს გაუგებარი თამაში ევროკავშირის სახით დაასრულონ და მისცენ ქვეყანას ის, რაც რეალურად დიდი ხანია ეკუთვნოდა“, – ამბობს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, ოპოზიციაშიც უკვე კარგად იციან, რომ დასავლეთმა ისინი გადააგდო. აღმოჩნდა, რომ მათ საკუთარი ინტერესები უფრო ადარდებთ, ვიდრე ჩვენი გაკოტრებული ოპოზიცია, რომელზეც ფსონის დადება 7-8 მარტის მოვლენების შემდეგ აღარ სურთ. ზოგი ამ ფაქტს შეეგუა, ზოგი კი ცდილობს ახალ ნარატივზე გადაერთოს. ქართველიშვილი ამბობს, რომ ახლა მოიგონეს თითქოს „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ევროკავშირის სტატუსის მიღება სირცხვილია და ა.შ. იციან, რომ ამის შემდეგ წყალწაღებულები იმ ხავსსაც დაკარგავენ, რომელსაც ევროკავშირის სახით ეჭიდებოდნენ.

„ოპოზიცია უკვე ახალი ტაქტიკის აგებას ცდილობს, რადგან ყველაფერი თავზე ენგრევა, თუმცა ეს ძალიან რთულია, რადგან მთელი საშემოდგომო არეულობის ფსონი დადებული იყო იმაზე, რომ ხელისუფლება კანდიდატის სტატუსის მიღებას ვერ შეძლებდა. ვხედავთ რადიკალური ოპოზიცია 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულებაში მონაწილეობას არ იღებს. პირიქით, პრობლემების შექმნას ცდილობს. უკვე აღარ ვიცი, ოპოზიციას საშემოდგომოდ და 2024 წლის არჩევნებისთვის რა ბერკეტი შეიძლება დარჩეს. რა ბაგაჟით უნდა მივიდნენ არჩევნებამდე, თუკი ის ძირითადი ბრალი - „ოცნებას“ ევროკავშირში ქვეყნის შეყვანა არ სურს – ბუშტივით გასკდება. მთელი ეს დესტრუქციული დღის წესრიგი თავზე დაემხობათ. მათი უნიათობა მთელი სახით დასავლეთში მარტის მოვლენებიდან კიდევ უფრო კარგად დაინახეს. მიხვდნენ, რომ ოპოზიციაზე ფსონის დადება საქართველოს დაკარგვის ტოლფასი იქნება და აქ დაწყებული უმართავი პროცესები ძალიან ძვირად დაუჯდებათ“, – ამბობს ქართველიშვილი.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** კი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის ხელისუფლებაში დაბრუნების სიწუწკე, ქვეყანას ევროპულ პერსპექტივაზე უარის თქმად არ უნდა დაუჯდეს. ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ პირიქით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა „ოცნებაზე“ ზეწოლა გაძლიერდეს და 12-პუნქტიანი გეგმა შეასრულოს. როგორც კი ხალხს ხელისუფლების ცვლილებას სასწორზე ბოკერიას, მერაბიშვილის და კეზერაშვილის სანაცვლოდ დაუყენებენ, მაშინვე არჩევანს ისევ „ოცნებაზე“ აკეთებს.

„დიახაც, სწორედ „ოცნებას“ უნდა მოვთხოვოთ, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულება შეასრულოს. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს კანდიდატის სტატუსს ქვეყანას ვინ მიაღებინებს. ახლა ხელისუფლებაში არის „ოცნება“, დიახაც, სხვა ხელისუფლება არ გვყავს, ამიტომაც მისი ვალდებულება რაც არის, იმის გაკეთება უნდა მოვთხოვოთ. რას ჰქვია „ოცნების“ პირობებში ვიღაცებს სტატუსის მიღება არ უნდათ.

ეს ხელისუფლება აირჩია ხალხმა და აბა, რომელი ხელისუფლების პირობებში უნდათ? სტატუსს ვინც მომიტანს, მე იმ ხელისუფლებას მივესალმები. მერე სულ სხვა რეალობა დადგება და ყველა კარგად დაინახავს ხელისუფლების და ხალხის ენერგია როგორ უნდა ვმართოთ. ოპოზიციამ ერთი რამ ვერ შეიგნო, როგორც კი ხალხს საპირწონედ სისხლიან „ნაციონალურ მოძრაობას“ უყენებენ, ის არჩევანს მაშინვე თუნდაც უნიათო „ოცნებაზე“ აკეთებს. ამიტომ სჯობს, ოპოზიცია ხელისუფლებაში დაბრუნების ცდუნებას და სიწუწკეს შეეშვას და საქმეს მიხედოს, რომელიც ქართველმა ხალხმა დაუკვეთა“...

ლიკა ბერიკაშვილი

შავი ზღვის ელექტროსადენი მხოლოდ ენერგეტიკული პროექტი არ არის, იგი დიდი პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია

შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტის თაობაზე თანამშრომლობის განხილვის მიზნით, თბილისში საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის სამთავრობო უწყებების პირველი, მაღალი რანგის შეხვედრა გაიმართა. შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობა შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტის განხორციელების ფაზაში.

შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და „ტრანსელექტრიკას“ ხელშეწყობით განხორციელდება. ეს სტრატეგიული პროექტი უდიდესი საინვესტიციო შესაძლებლობაა საქართველოსთვის და მისი მეზობელი ქვეყნებისთვის. ის ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგეტიკის სექტორის განვითარებას, გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს და ორმხრივი ვაჭრობის პოტენციალს ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს რეგიონების სტაბილურ და საიმედო ენერგეტიკულ მომავალს.

როგორც უნგრეთის ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა მინისტრმა **პიტერ სიიარტომ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტი მისი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში პროექტს შეუძლია უზრუნველყოს უნგრეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოება პლანეტისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

„უნგრელები დაინტერესებულები ვართ დივერსიფიკაციით მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფით და მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გადაწყვეტილებებით. ნამდვილად ვაფასებთ საქართველოს ამბიციურ მიდგომას ამ პროექტის განხორციელებისადმი, მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში, მზად ვართ მასში ჩვენი

ურყევი ძმობა და თანამშრომლობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ერთობლივი განცხადებები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

მოგესალმებით, პატივცემულო პრეზიდენტო, ძვირფასო მეგობარო, ბატონო ილჰამ ალიევ! ძვირფასო მეგობრებო, ჩემთვის დიდი პატივია, ვიმყოფებოდე ამ ძალიან ლამაზ ადგილას. მე მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს, ჩვენს მეგობარს, აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ბატონ ილჰამ ალიევს ჩემი მასპინძლობისთვის ამ ულამაზეს ადგილას. თქვენ აღნიშნეთ, რომ რამდენიმე თვის წინ იმყოფებოდით საქართველოში. ჩვენ მაშინ დავიწყეთ ახალი ტრადიციის დანერგვა, როცა არა მხოლოდ დედაქალაქს ვსტუმრობდით, არამედ რეგიონებსაც. ეს, ვფიქრობ, ძალიან კარგი ინიციატივაა, კარგი ტრადიციაა და ამ ტრადიციას ვაგრძელებთ დღეს ამ რეგიონში სტუმრობით. მე მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველებისთვის, თქვენთან, აზერბაიჯანთან, აზერბაიჯანელ ხალხთან მეგობრობას, ძმობას. ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაქვს, გვაქვს ძალიან ძლიერი პარტნიორობა.

აზერბაიჯანი არის არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი და მეზობელი, არამედ ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი, სავაჭრო პარტნიორი მრავალი წლის განმავლობაში. ჩვენ, თქვენთან ერთად, გვაქვს განხორციელებული ისტორიული მნიშვნელობის პროექტები, რამაც კიდევ უფრო მეტად დააკავშირა ჩვენი ერები, კიდევ უფრო მეტად გახადა ურთიერთდამოკიდებული, რაც საუკუნეებს გასტანს. ჩვენ არაერთხელ გვიხსენებია ის ისტორიული მნიშვნელობის პროექტები, რომლებიც განხორციელებულია და რომლებიც წარმატებით მუშაობს. საქართველო ძალიან სანდო სატრანზიტო პარტნიორი ქვეყანაა ამ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისთვის.

როგორც აღნიშნა ბატონმა პრეზიდენტმა, ჩვენ ვმუშაობთ, არ ვჩერდებით, ვმუშაობთ ახალ ინიციატივებზე, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა შავი ზღვის ელექტროკაბელი, იმისთვის, რომ განვავითაროთ ევრეთ წოდებული მწვანე კორიდორი. საქართველოს და აზერბაიჯანს აქვთ დიდი პოტენციალი, რომ მიაწოდოს ევროპას მწვანე, განახლებადი ენერგია, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის პერსპექტიული, ეს არის მომავალი და ამ მიმართულებით ჩვენ, ორივე ქვეყანამ, მეტი ინვესტიცია უნდა ჩავდოთ და სწორედ ამ საკითხებზეც გვქონდა ჩვენ საუბარი.

ბუნებრივია, ჩვენ ასევე გვქონდა საუბარი რეგიონში არსებულ ვითარებაზე. ასევე ვისაუბრეთ რთულ ვითარებაზე, რომელიც არის უკრაინაში ომის გამო. ეს, ბუნებრივია, ზრდის რისკებს ქვეყნებისთვის. ასეთი გამოწვევა არ ყოფილა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ჩვენი მთავარი ამოცანა, ჩვენი მთავარი ინტერესი არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება, რაც არის საფუძველი მეტი კეთილდღეობისა ჩვენი ხალხებისთვის. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა, რომ გვქონდეს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი, მეტი კეთილდღეობა ჰქონდეს ჩვენს ხალხებს. ამ ნაწილში ჩვენ სრული თანხვედრა გვაქვს. ჩვენ გვინდა მეტი პროექტები განვახორციელოთ, რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს, დაუკავშირებს ჩვენს ქვეყნებსა და ჩვენს ერებს.

მე ასევე მინდა ვთქვა, რაც უკვე ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა შუა დერეფნის განვითარების შესახებ. ჩვენ ვმუშაობთ ერთობლივად, კოორდინირებულად ამ მიმართულებით. ჩვენი სურვილია, რომ წლების განმავლობაში, უახლოეს მომავალში ყველა ის ბარიერი მოიხსნას, უნდა განვავითაროთ ერთობლივად ინფრასტრუქტურა, იქნება ეს პორტები, რკინიგზა. იცით, რომ ჩვენ ვაპირებთ დავიწყოთ წელს ახალი პორტის მშენებლობა, ანაკლიის პორტის მშენებლობა. ასევე ჩვენ დაახლოებით ერთ წელში დავასრულებთ რკინიგზის გაფართოების პროექტს. მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები ასევე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მიმართულებით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს და გაზრდის ტვირთბრუნვას ჩვენი რეგიონის მიმართულებით. ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ჩვენ გვქონდა საუბარი.

მსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა არის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება, რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება, უფრო მეტი პროექტის განხორციელება, და ჩვენ ასეთი თბილი მეგობრობით, ძმობით, მჯერა, რომ ძალიან ბევრ პროექტს განვახორციელებთ. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ ალიევს მასპინძლობისთვის. მე ასევე მინდა აღვნიშნო, რომ წელს თქვენი ქვეყანა აღნიშნავს თქვენი ძვირფასი მამის, ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილეს. თქვენ ხართ ჩვენთვის მეგობარი ადამიანი, ბატონი ჰეიდარ ალიევი ასევე იყო ძალიან დიდი მეგობარი ჩვენი ქვეყნის. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ, ვუსურვო აზერბაიჯანს და აზერბაიჯანელ ხალხს მშვიდობა, წარმატება და კეთილდღეობა. დიდი მადლობა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი:

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ქალბატონებო და ბატონებო! უპირველეს ყოვლისა, მე მიხარია, რომ მოგესალმებით აზერბაიჯანში. ჩვენი შეხვედრა ხშირია, 6 თვის წინ ვიმყოფებოდი თქვენთან საქართველოში, თქვენი სტუმარი ვიყავი, თქვენ დღეს სტუმრობთ აზერბაიჯანს. ჩემი ვიზიტის განმავლობაში საქართველოში ვიმყოფებოდი მცხეთაში და დღეს თქვენ გაბალას რეგიონში ბრძანდებით. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან კარგი ტრადიცია ჩამოგვიყალიბდა და საოცარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის საშუალება გვეძლევა როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში. ეს აძლიერებს ჩვენს მეგობრობას.

საქართველო და აზერბაიჯანი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ბევრი წელია უკვე მეგობრები, პარტნიორები ვართ. ჩვენი ხალხი, ჩვენი მოსახლეობა ერთმანეთის ძმებად მიიჩნევენ თავს, და გვინდა, რომ ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდეს, რათა ჩვენი ერების მომავალს წაადგეს. დღეს საუბარი გვქონდა ბევრ მნიშვნელოვან საკითხსა და შეთანხმებაზე, რომელიც მიღწეულია და საშუალებას მოგვცემს სამომავლო საქმიანობა განვახორციელოთ. რა თქმა უნდა, საქართველო და აზერბაიჯანი კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში ევროპაში და ეს როლი კიდევ უფრო იზრდება, ყოველდღიურად. ეს მეგობრული კავშირები ჩვენს ქვეყნებს შორის და თანამშრომლობა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, გადამწყვეტია ევროპის ენერგოუსაფრთხოებისთვის. ყოველწლიურად ჩვენ ვზრდით ბუნებრივი აირის მიწოდების მასშტაბს და მოცულობებს ევროპისკენ. წელს აზერბაიჯანმა გადაწყვიტა 24,5 მლრდ კუბური მეტრი მიაწოდოს საერთაშორისო ბაზრებს. ეს მაჩვენებელი იზრდება და ჩვენი ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან გასულ წელს, ამ მემორანდუმის თანახმად, 2027 წლისთვის ჩვენ ევროპას მივაწოდებთ 20 მლრდ-ზე მეტ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს. ესაა ჩვენი სამიზნე ორიენტირი და იმედი მაქვს, ამას მივაღწევთ.

არსებული გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ჩვენ ვხედავთ რამდენად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის როლი ამ მიმართულებით. მრავალი წელია აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“ წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოში და გუშინ მიღებული ინფორმაციის თანახმად, მას 11 000 კილომეტრი მილსადენი აქვს ოპერირებაში, ემსახურება 830 000 მომხმარებელს, აბონენტს საქართველოში. აქედან გამომდინარე, ჩვენ კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ ენერგომიმართულებით. დაწყებული გვაქვს უკვე ამ მიმართულებით მუშაობა. გასული წლის ბოლოს აზერბაიჯანმა, საქართველომ, რუმინეთმა და უნგრეთმა ხელი მოაწერეს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს და თებერვალში პირველი სამეურვეო კომიტეტის სხდომა ჩატარდა ბაქოში. ესაა მასშტაბური პროექტი და, რა თქმა უნდა, მისი წარმატებული განხორციელებისთვის საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა ოთხივე ქვეყნიდან და, რა თქმა უნდა, ევროკავშირის მხარდაჭერა, რომელმაც უკვე მიანიჭა ძალიან დიდი მნიშვნელობა ამ პროექტს. ეს არ არის შემთხვევით, რომ ევროკავშირი და ევროკომისიის პრეზიდენტი მონაწილეობდნენ ხელმოწერის ცერემონიაში.

ტრანსპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ჩვენს თანამშრომლობაში. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ძალიან წარმატებით. შუა დერეფანი აზერბაიჯანი-საქართველო, ძალიან აქტიური ვართ ამ დერეფანში და მომდევნო ეტაპზე ტვირთმბრუნვა და ტვირთმბრუნვის მოცულობა გაიზრდება, და ჩვენ დამატებით ნაბიჯებს გადავდგამთ ამ მიმართულებით. როგორც გასულ წელს, ისე მიმდინარე წელსაც რამდენიმე ვიზიტი განვახორციელე ცენტრალური აზიის ქვეყნებში და მალე კვლავ მივემგზავრები. ახალი ტვირთის გატარება მოხდება შუა დერეფნით და შესანიშნავი შესაძლებლობა იქმნება ამ კონტექსტში. ყველა ადმინისტრაციული ზომა უნდა იყოს დანერგილი იმისთვის, რომ სატარიფო პოლიტიკა იყოს საერთო.

ჩვენ უნდა გვქონდეს ერთიანი ხედვა და იმავდროულად მივიზიდოთ გადამზიდავები და მივიზიდოთ ახალი მოცულობები. დღეს ამ საკითხზე ფართოდ ვისაუბრეთ და გავაგრძელებთ ამაზე საუბარს მომავალშიც. ეს არის ძირითადი ასპექტები ჩვენი თანამშრომლობის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ჩართულობა კიდევ უფრო ფართოა. ჩვენი კავშირები მოიცავს მრავალ მიმართულებას – თავდაცვას, განათლებას, კულტურას, ტურიზმს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, სოფლის მეურნეობას, ვაჭრობის გააქტიურებას და, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დღევანდელი ვიზიტი ამაში კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს. ძალიან დიდი მადლობა და მოგესალმებით აზერბაიჯანში.

წვლილი შევიტანოთ. ვიმედოვნებთ, ჩვენი ქართველი მეგობრები შეძლებენ შეასრულონ რეკორდული, თითქმის 1200 კმ სიგრძის წყალქვეშა სადენის უზრუნველყოფის გეგმა“, – განაცხადა პიტერ სიიარტომ.

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა პროექტისადმი მხარდაჭერა გამოხატა და აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკი მოხარულია, მონაწილეობდეს ღონისძიებაში, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი და სტრატეგიული პროექტის განხორციელების საკითხებზე მუშაობს.

„ვფიქრობ, საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი პროექტი, რომელიც განახლებად ენერგიას საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, და იმედია, მალე სომხეთიდანაც, ევროპაში შემოიტანს, დიდ სარგებელს მოუტანს ქართველ ხალხს და უზრუნველყოფს ძალიან ძლიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნებს შორის“, – აღნიშნა **სებასტიან მოლინეუსმა**.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **პაველ ჰერჩინსკიმ** კი ხაზი გაუსვა, რომ ევროპა მხარს უჭერს შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტს, რომელიც უზარმაზარი ინვესტიციაა. იგი მნიშვნელოვნად შეცვლის ელექტროენერგიის გამომუშავებას და ასევე ელექტროგადაცემას სამხრეთ კავკასიის და ევროკავშირს შორის.

„შავი ზღვის კაბელი არის ძალიან დიდი პროექტი, რომელიც აკავშირებს, ერთი მხრივ, საქართველოსა და აზერბაიჯანს, მეორე მხრივ, რუმინეთსა და უნგრეთს. ევროკავშირი მხარს უჭერს ამ პროექტს და მონაწილეობს მასში, როგორც დამკვირვებელი. ჩვენ ვსაუბრობთ უზარმაზარ ინვესტიციაზე, რომელიც, იმედია, მნიშვნელოვნად შეცვლის ელექტროენერგიის გამომუშავებას და ასევე ელექტროგადაცემას სამხრეთ კავკასიასა და ევროკავშირს შორის. ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ამ პროექტს და გვინდა, რომ ამ პროექტს ჰქონდეს რეგიონული მასშტაბი.

გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ რამდენიმე წელიწადში სამხრეთ კავკასია გახდება ენერგიის ძალიან მნიშვნელოვანი წყარო ევროკავშირისთვის. ამას გარკვეული დრო დასჭირდება, რადგან ჩვენ ვსაუბრობთ უზარმაზარ პროექტზე, მაგრამ გვსურს, ეს რაც შეიძლება მალე განხორციელდეს“, – აღნიშნა ჰერჩინსკიმ.

2022 წლის 17 დეკემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთის და უნგრეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებას, მწვანე ენერგიის განვითარების და გადაცემის შესახებ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტი წარმოადგენდა – პროექტის განხორციელების შემთხვევაში, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება (1100 კმ წყალქვეშა და 95 კმ სახმელეთო კაბელი), რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ვაჭრობა.

ბექა დანელია



არგოლიშვილთა საგვარეულო კავშირი 2010 წლის 12 დეკემბერს დაფუძნდა. გვარის წინამძღოლად აირჩიეს საგვარეულო კავშირის დაფუძნების მოთავე ავთანდილ არგოლიშვილი, პროფესიით მხატვარ-მოქანდაკე, სახვითი ხელოვნების პედაგოგი.

2011 წლის 27 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სამების საკათედრო ტაძარში დალოცა არგოლიშვილთა გვარი და აკურთხა მათი მფარველი ძლევის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც აღებულია გორიჯვრის XIV საუკუნის ტაძრის საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვრიდან და მოჭედილია ვერცხლის ფირფიტებით. ამ ვერცხლის ფირფიტებზე რელიეფური ჭედვით გამოსახულია წმინდა გიორგის ცხოვრებისა და წამების 15 სიუჟეტი. ჯვრის ქვედა ნაწილზე მოთავსებული 16-სტრიქონიანი წარწერა გვატყობინებს, რომ საქართველოს გაერთიანებული სამეფოს მეფეს ალექსანდრე I-ის ჯვარი შეუწირავს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისათვის, რათა მეფე განეკურნა მძიმე სენისაგან. ალექსანდრე I-ის ქტიტორობით მოჭედილი ჯვრის შესრულების თარიღი 1439-1442 წლებით უნდა განისაზღვროს.

ჯვრიდან აღებული ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელსაც ძლევის წმინდა გიორგი ეწოდება, წმინდანი დაბრძანებულია ტახტზე და მის ფერხთით დამარცხებულია ბოროტება ურჩხულის სახით. ეს 15 სანტიმეტრი ზომის სიუჟეტი არგოლიშვილებმა აქციეს დამოუკიდებელ ხატად, (ზომით 35X25სმ) და დაბრძანდება გვარში მადლითა და შეწევნით. მეორე, შედარებით დიდი ზომის, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხატი, ჩააბრძანეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არგოში და ღვთის შეწევნით, წმინდა გიორგის X საუკუნის ტაძარს 2014 წლის 14 დეკემბერს შეწირეს. სწორედ სოფელი არგო იხსენიება არგოლიშვილთა გვარის ბუდე სოფლად, რომლის შესახებაც მრავალი მკვლევარ-მეცნიერი აღნიშნავს; (ილია მაისურაძე, ზურაბ ჭუმბურიძე და სხვები.

განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს წიგნში „ერედვი და ერედველები“ მისი ავტორი ჟურნალისტი გივი ბორცვაძე.

ბატონი გივი იყო სოფელ ერედვის მკვიდრი, სოფელი, 2008 წელს რუსმა ოკუპანტებმა მიწასთან გაასწორეს. ავტორი კარგად იცნობს თავისი სოფლის და არა მარტო სოფლის, არამედ ჩრდილოეთ ქართლის ისტორიასა და ეთნოგრაფიას. წიგნის ავტორი მოგვითხრობს, სოფელ ერედვში მცხოვრები გვარების ისტორიას, ვინ საიდან და როდის არის დამკვიდრებული. არგოლიშვილების გვარის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, რომ ერედველი არგოლიშვილების ადრინდელი გვარი თარხნიშვილი ყოფილა. ისინი ერედვში გორის რეგიონის სოფელ არგოდან მისულან და მათი საგვარეულო სალოცავი ლომისია. სოფელში სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არგოლიშვილები, „თარხნიანთს“ უწოდებდნენ, რომელიც თავისი შინაარსით თარხნიშვილების კომპაქტურად დასახლებულ ადგილს ნიშნავს.

გვარისა და სოფლის უხუცესთა გადმოცემებით, ისინი საბჭოთა წყობილების გამარჯვებამდე, ლომისში სალოცავად ყოველ წელს ჯალაბეურად მიდიოდნენ, თან შესაწირავი შეთქმული ხარი მიჰყავდათ და იქ ასრულებდნენ ქრისტიანულ რიტუალებს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ყველგან, სოფელ ერედვშიც აიკრძალა მრავალი მამაპაპური ტრადიცია და მან ოჯახებში გადაინაცვლა. წიგნის ავტორის ცნობით, თარხნიშვილების პირველი შტოს ნაწილი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შთამომავლობა, კასპის რეგიონიდან საცხოვრებლად გადასულან სოფელ არგოში.

გვარების მცირერიცხოვნობა ხელს არ უშლის სასიკეთო საქმეების კეთებას

საყურადღებოა, რომ ერედვში ასულ რიგით თარხნიშვილს საკუთარი სახელი „არგოელა“ შეარქვეს, რომელმაც თავისი მემკვიდრენი საკუთარი სახელიდან წარმომდგარ ეპონიმურ გვარზე დაწერა. ეს არის მცირე ცნობა ერედველი არგოლიშვილების შესახებ.

ამგვარად, არგოლიშვილთა გვარი XVII საუკუნიდან მომდინარეობს და ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო ზემო სვანეთში, რაჭაში, კახეთში, გურიაში, აჭარაში და დედაქალაქ თბილისში. მიახლოებით არგოლიშვილთა გვარი დღეს დაახლოებით 600 სულს ითვლის.

სოფელ ერედვში 1998 წელს წმინდა ბარბარეს ტაძრის ნანგრავებზე, მალხაზ არგოლიშვილმა თანასოფლელ არტემ ქრისტესიაშვილთან ერთად, ააგო მცირე მოცულობის სამლოცველო, 2009 წელს სოფელ დიღომში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის VIII საუკუნის ტაძარში, მოქანდაკე ავთანდილ არგოლიშვილმა გააკეთა ტაძრის კანკელი. ბატონი ავთანდილის მამაპაპისეული სოფელი ერედვია, სოციალურ ქსელში ფეისბუქზე მოქმედებს „ლიახველეგის“ გვერდი, სადაც თანამემამულეებს მოუწოდა შეექმნათ ძლევის წმინდა გიორგის ხატი და შეეწირათ ქართლში უდიდესი სალოცავი ტაძრისათვის, რომელსაც გერის წმინდა გიორგი ეწოდება. ასევე აქვს იდეა ოსი და ქართველი ხალხის სახალხო დიპლომატიის მეშვეობით, შერიგების, ამავე სოციალური ქსელით ფეისბუქით შექმნა ჯგუფი, „არგოლიშვილთა საგვარეულო“ სადაც ქვეყნდება და პროპაგანდას უწევს საგვარეულოს საქმიანობას.

არგოლიშვილებმა 2011 წელს მახათას მთაზე, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ტაძრის საძირკველში ჩადეს სიმბოლური ქვა, ხოლო 2015 წლის 9 მაისს მახათას მთის ფერდობზე, მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის შემოგარენში საგვარეულო ხეივანში დარგეს 5 ძირი ზეთისხილის ნერგი.

გვარს ჰყავს გამოჩენილი წინაპრები, ერთ-ერთი მათგანი გახლავთ, ერედველი ვაჟკაცი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ვანო არგოლიშვილი, რომელიც დაჯილდოებული იყო მედლებით „მამაცობისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“. 2008 წლის ომში ასევე მამაცურად ებრძოდა რუსს ოკუპანტებს ერედველი კაპიტანი ჯუმბერ არგოლიშვილი.

გვარის თანამედროვე გამოჩენილი ადამიანები საკმაოდ ბევრია. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმეს გაგაცნობთ.

მოსკოვში მოღვაწე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბავშვთა კარდიოლოგი გიორგი არგოლიშვილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მოღვაწე მათემატიკოსი ტარიელ არგოლიშვილი, რომელმაც 12 წიგნი მიუძღვნა ბუღალტერიას. ასევე, მათემატიკოსი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გურამ არგოლიშვილი.

ფერმწერი ბესო არგოლიშვილი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არგოლიშვილი.

მხატვრული ტანმოვარჯიშე, 2018 წლის ახალგაზრდებს შორის საერთაშორისო ტურნირის პირველი ადგილის მფლობელი ქეთევან არგოლიშვილი.

პრობაციის ეროვნული ბიუროს ფსიქოლოგი ავთანდილ არგოლიშვილი.

ჩითახევში „მწვანე მონასტერში“ მოღვაწე სასულიერო პირი გიორგი არგოლიშვილი.

ქალაქ რუსთავის თეატრის მსახიობი ნათია არგოლიშვილი და სხვები.

არგოლიშვილებს მრავალი საინტერესო ჩანაფიქრი აქვთ გვარის შემდგომი შეკავშირება-გაერთიანების თვალსაზრისით. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს არგოლიშვილთა გვარი!

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

წინამძღოლთა დარბაზის სხდომა

24 მარტს სამების ტაძარში გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის შეკრება.

სხდომას უძღვებოდა წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე ირაკლი ბრეგვაძე.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელი ეძღვნება საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 45 და დაბადების 90 წლისთავის იუბილეს. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად სასულიერო პირებმა აღავლინეს საზეიმო წირვა. შესრულდა საქართველოს გვარების ჰიმნი.

დარბაზის სხდომაზე ირაკლი ბრეგვაძემ ილია მეორის მიერ დალოცვილი გვარების წინამძღოლებს გადასცა შესაბამისი მოწმობები. თბილისში, ბაგების ტერიტორიაზე ახლადაშენებულ ეკლესიის გუმბათზე აღმართულ 13,5 მეტრის სიმაღლის ჯვრის შესაძენად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წევრებმა შეაგროვეს თანხა. ჯვრის აღმართვის პატივსაცემად გადაიხადეს პარაკლისი.

დარბაზის გამგეობამ მადლობა გამოუცხადა ყველას, ვინც ფინანსური დახმარება გაიღო ჯვრის შესაძენად.

დადებითად შეფასდა საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივა და გვარების წინამძღოლთა დარბაზთან გააფორმა მემორანდუმი ამ საზოგადოების დასახმარებლად.

დარბაზის სხდომაზე გამგეობის მდივან-რეფერანგად აირჩიეს ქალბატონი ნინო ბერძენიშვილი.

1918 წლის 26 მაისი და არა 1991 წლის 9 აპრილი!

(პირველი გვერდიდან) **სხვათა შორის, არის ასეთი მოსაზრებაც, რომ 9 აპრილის სანაცვლოდ 26 მაისის აღნიშვნა ედუარდ შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას ღვაწლის მისაჩქმალად შემოიღო და ეს შესაცვლელია.**

მართლაც, 1991 წლის 9 აპრილს ზვიადს უთქვამს, „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი. აღსრულდა ნება ქართველი ერისა! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“

26 მაისის მოწინააღმდეგენი იმასაც ამბობენ, რომ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ 3 წელიც არ ვიყავით დამოუკიდებელნი და ნოე ჟორდანიას მთავრობა რომ გარბოდა, ჯარი ჯერ კიდევ ომობდა. ამდენად, ამ ადამიანებისთვის 26 მაისი არ არის მნიშვნელოვანი, რადგან 1918 წლის 26 მაისზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღები აქვს საქართველოს. მთელი საბჭოთა ეპოქის განმავლობაში დაპყრობილ საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ აზეიმებდნენ თავსმოხვეულ თარიღს – გასაბჭოების 25 თებერვალს, ახლა კი შევარდნაძის სურვილით ვზეიმობთ 26 მაისს, რათა ზვიადის ღვაწლი მიიჩქმალოს.

სინამდვილეში, 9 აპრილი ჩვენი ცოცხალი მეხსიერების ნაწილია, ჩვენს თაობას ახსოვს ეს თარიღი, მთელი თავისი ტრაგიკულობით, რუსთაველზე ტანკების შემოგრიალებით, რუსების ალესილი ნიჩბებით, დასახიჩრებულ ქართველთა გვამებით. 26 მაისი კი ჩვენი ცოცხალი მეხსიერების ნაწილი არ არის, ის ჩვენი წინაპრების უკომპრომისო ბრძოლის ეპიზოდია, რომელმაც საქართველოს ოკუპაციამდე, ანუ 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება. ამდენად, 26 მაისი ჩვენი თაობისთვის ისტორიის კუთვნილებაა. ეს ნიშნავს, რომ ორივე თარიღს – 26 მაისსაც და 9 აპრილსაც თავისი პატივი უნდა მივაგოთ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **დიმიტრი შველიძე** აცხადებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ წამყვან მეცნიერებთან (მალხაზ მაცაბერიძე, ოთარ ჯანელიძე, ვახტანგ გურული) ერთად გამოაქვეყნა ბროშურა, სათაურით „26 მაისი, თუ 9 აპრილი?!“ ისტორიკოსი დღესაც მიიჩნევს, რომ, როგორც დღესასწაულს, როგორც საზეიმო დღეს, აუცილებლად პრიორიტეტი 1918 წლის 26 მაისს უნდა მიენიჭოს, რადგან ჩვენი დღევანდელი დამოუკიდებელი სახელმწიფო პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა და ამის შესახებ კანონშიცაა აღნიშნული.

„1918 წლის 26 მაისია ჩვენი სახელმწიფოს მესაფუძვლე, მესაძირკვლე. რაც შეხება 1991 წლის 9 აპრილს, ამ დღეს ჩვენ დამოუკიდებლობა კი არ მოვიპოვეთ, არამედ აღვადგინეთ. ამდენად, განა შეიძლება, 9 აპრილი ვიზეიმოთ და 26 მაისი უგულებელვყოთ? ეს იქნება დანაშაული ისტორიის წინაშე. ბოლოს და ბოლოს, ყველაზე სამართლიანი თუ ვიქნებით, ჩვენ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ათეული საუკუნეების წინ ჰქონდა და იქიდან უნდა დავიწყოთ ათვლა. ჩვენ უნდა დავაძველოთ ისტორია და არ უნდა განვაახლოთ. გუშინდელი მიჯების დონეზე არ უნდა დავდგეთ, რომ თურმე ახლა მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა“, – აცხადებს დიმიტრი შველიძე.

მეცნიერი განმარტავს, რომ რეალურად, ახლა მოიპოვეს დამოუკიდებლობა აფრიკის ქვეყნებმა, რომლებსაც ადრე არავითარი სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდათ. ამდენად, ჩვენი მიზანი არ უნდა იყოს, რომ უახლეს ისტორიას დავუკავშიროთ ეს თარიღი. ყველა ხელისუფლებამ თავიდან ხომ არ უნდა დაიწყოს წელთაღრიცხვა?! ეს სირცხვილია, ჩვენ ამაყი და ღირსეული ხალხი ვართ, მოგვაქვს თავი, რომ ძველი ისტორიის მქონე ხალხი ვართ. როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, ჩვენ ისტორიული ერი ვართ და არა ჩვეულებრივი, გუშინ დაბადებული ერი. ახლა თუ გვინდა, ჩვენი თავი ნიგერიას, უგანდას, მოზამბიკს გავუტოლოთ, ეს სხვა საკითხია. მაშინ 9 აპრილს კი არა, თუ უნდათ, გუშინდელ დღეს გამოაცხადონ საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღი, რაც ჩვენს ისტორიას არ ეკადრება.

დიმიტრი შველიძე მიიჩნევს, რომ დამოუკიდებლობის დღედ 9 აპრილის გამოცხადება ზვიად გამსახურდიას ღვაწლის უგულებელყოფაცაა, რადგან სწორედ ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს დღევანდელი დამოუკიდებლობა პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ და დამოუკიდებლობის აღდგენაც მას უკავშირდება.

„სხვათა შორის, ახლა გამოვიდა კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას უზარმაზარი მონუმენტური ნაშრომი მამის შესახებ. ვისაც ქვეყანა უყვარს, ამ წიგნს უნდა გაეცნოს და იქ საინტერესო პასაჟებს ამოიკითხავს“...

თეოლოგი **ლევან აბაშიძეც** მიიჩნევს, რომ 9 აპრილთან შედარებით 26 მაისს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რადგან 26 მაისი ჩვენი ისტორიაა.

„როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა, ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით კი არ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, საბჭოთა საქართველოს მემკვიდრეები კი არ ვართ, არამედ ვართ პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეები, ანუ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს მემკვიდრეები. ასე რომ, 26 მაისის გაუქმება, მე მგონი, არც მოხდება და არც იქნება გამართლებული. მე მგონი, პირიქით უნდა მოხდეს, 26 მაისი უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ხოლო 9 აპრილი ამ დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. 9 აპრილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ არ მინდა, 26 მაისს რაიმე ჩრდილი მიადგეს“, – აცხადებს ლევან აბაშიძე.

არჩილ ნოზაძე

როგორი იქნება ქართული კულტურის ცენტრი წმინდა მინაზე?

„საქართველოს რესპუბლიკის“ 24 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია ინფორმაცია მდინარე იორდანეს ნაპირთან ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობის სამთავროებო კომისიის მეორე სხდომის შესახებ. იქვე გამოქვეყნებულია „ცენტრის“ პროექტის მაკეტის ფოტო.

სხდომას ესწრებოდნენ მთავრობის წევრები და საპატრიარქოს წარმომადგენლები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო საინფორმაციო შეხვედრა და არა პროექტის ავკარგიანობის შეფასება, რადგანაც დამსწრეთა შორის (ინფორმაციის მიხედვით) არ იყო არც ერთი არქიტექტორი, სახვითი ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენელი, არც სამშენებლო საქმის სპეციალისტი.

ახლა უმთავრესზე, რამაც კალამი ამაღებინა:

წმინდა მიწაზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილიდან ორ ნაბიჯზე, საქართველოსთვის 4 000 კვ.მ. ტერიტორიის გადაცემა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა: მახსოვს ის საერთო ეროვნული აღტაცება და ელდაც კი, რომელიც ამ ცნობამ გამოიწვია. ფაქტს, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ამ მიწაზე ქართული არქიტექტურული აზრი, ამ საკითხისადმი ინტერესი კოლოსალურია, მაგრამ საზოგადოებისთვის მხოლოდ...

ერთი ფოტოა ცნობილი, მას უჩვენებენ ტელევიზიები, გაზეთები. ბოდიშს მოვიხდი, შესაძლოა, სხვა მასალაც არსებობს, რომლის შესახებ მე არ ვიცი, არა და საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან – ეროვნული ღირსების ობიექტთან.

ცხადია, ერთი ფოტოთი პროექტის შეფასება დაუშვებელია, მაგრამ ერთი ფოტოთი, თუ კი ის იქნება სარეალიზაციო პროექტის საფუძველი, მე მის რეალიზაციას არ ვისურვებდი.

ობიექტისადმი ინტერესი უაღრესად მაღალია და მიმაჩნია, რომ პროექტის შექმნის მთელი პროცესიც საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს, ხელისუფლების გონიერება იმითაც უნდა გამოიხატოს, რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს თანამონაწილის განცდა. ის არ უნდა გახდეს ხელისუფლების (დამკვეთის) და საზოგადოების დისტანცირების საბაბი.

ცოტა უცნაური აზრი დამებადა – რომ ყოფილიყვნენ ცოცხლები, იმავდროულად ქართველები, მსოფლიო არქიტექტურის ტიტანები გაუდი, ფ. ლ. რაიტი და კორბუზიე, დათანხმებოდნენ ასეთი მგრძნობიარე ეროვნული პრობლემის ერთპიროვნულად გადაწყვეტას?

არ გავაგრძელებ, ერთადერთი სწორი გზა საერთო ეროვნული ღია არქიტექტურული კონკურსია, ზუსტი პროგრამით, სიცხადით, კომპაქტური და კომპეტენტური ჟიურით. ასეთი კონკურსის ჩატარების შესაძლებლობა არქიტექტორთა კავშირს გააჩნია.

მე ხშირად ვიმეორებ ერთ ჭეშმარიტებას – დიდ ხელოვნებას ქმნის გონიერი დამკვეთი. „გონიერი დამკვეთი“ არ ნიშნავს მხოლოდ კარგ გადამხდელს, არამედ იმის „პოვნას“, ვისაც უნდა მიანდოს მისი ჩანაფიქრის რეალიზაცია. „გონიერმა დამკვეთმა“ ყოველთვის იცის თავისი კომპეტენციის საზღვრები. „გონიერი დამკვეთი“ არასდროს კვეთს კომპეტენციის საზღვრებს.

ხელისუფლება და საპატრიარქო განმსაზღვრელია საპროექტო დავალების ანუ პროექტის შინაარსის, ფუნქციის, რაობის დადგენაში, მაგრამ მათ არ შესწევთ (არც უნდა შესწევდეთ) პროექტის პროფესიული შეფასება – სივრცობრივი ხასიათის, ადგილის სულის, არქიტექტურული თემის, გარემოსადმი რევერანსის, ფუნქციური ურთიერთკავშირის, ტრადიციის და თანამედროვეობის საკითხებში წვდომის გამოცდილება.

მომწონს-არ მომწონს შეიძლება მხოლოდ თეატრში!..

ვახტან დავითაია,
არქიტექტორი

P.S. **საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა ჯერ კიდევ გასული წლის 9 აგვისტოს დააყენა „ქართული კულტურის ცენტრის“ და არქიტექტურული კონკურსის ჩატარების საკითხი. ეს პერიოდი სრულიად საკმარისი იყო კონკურსის ჩატარებისთვის და მუშა დოკუმენტაციის შედგენისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.**
ვ. დ

ᲪᲑᲘᲔᲠᲝ ᲓᲔᲒᲜᲐᲜ, ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ

ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡᲒᲐᲜ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ!

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲭᲝᲣ ᲪᲘᲔᲜᲘ:

ᲗᲣ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ, ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲔᲜᲡ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲭᲝᲣ ᲪᲘᲔᲜᲘ: ᲗᲣ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ, ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲔᲜᲡ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲘᲒᲘᲕᲔᲐ, ᲠᲐᲪ ᲮᲔ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲔᲛᲘᲕᲘᲗᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲘᲜ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲪᲣᲠᲐᲕᲡ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში ჩინეთის ელჩმა, ჭოუ ციენმა განუცხადა.

„ინფლაცია, ფასების ზრდა და პროტექციონიზმი სერიოზულ დარტყმას აყენებს წარმოებისა და მიწოდების გლობალურ ჯაჭვებს. მშვიდობის, განვითარების, უსაფრთხოებისა და მმართველობის დეფიციტი კაცობრიობისთვის უდიდეს გამოწვევად იქცა. დღეს მსოფლიო გზაჯვარედინზე დგას, არჩევანი უნდა გავაკეთოთ ერთი მხრივ მშვიდობიან განვითარებას და მეორე მხრივ – ომს, ქაოსსა და ეკონომიკურ კრიზისს შორის. თუ რა გზას უნდა დაადგეს კაცობრიობა – ამ საკითხზე ყველა ქვეყანა და მათ შორის საქართველო უნდა დაფიქრდეს.

დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზანიც არის, რომ გაგაცნოთ ჩინეთისა და მისი საგარეო პოლიტიკის ხედვა ამ საკითხებზე. თუ რა გზით უნდა განვითარდეს კაცობრიობა, ამ შეკითხვებზე ჩინურმა მხარემ წარმოადგინა ძალიან მკაფიო პასუხი. ჩვენი ხედვით, უნდა შევქმნათ ღია, ინკლუზიური სუფთა და ლამაზი სამყარო, სადაც იქნება ხანგრძლივი მშვიდობა, საყოველთაო უსაფრთხოება და საერთო კეთილდღეობა. ეს არის ჩინეთის მიერ ინიცირებული საერთო მომავლის მქონე საზოგადოების კონცეფციის დედააზრი“, – განაცხადა ჭოუ ციენმა.

ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ 2021 წელს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა წარმოადგინა საერთო მომავლის მქონე საზოგადოების კონცეფცია, 2013 წელს კი გააუღერა სარტყელისა და გზის ინიციატივა, რომლის ინიცირებიდან წელს ათი წელი შესრულდება.

„2021 წელს მან ასევე შემოგვთავაზა გლობალური განვითარების ინიციატივა. უკრაინაში კრიზისის დაწყებიდან მალევე მან შემოგვთავაზა გლობალური უსაფრთხოების ინიციატივა, ხოლო ცოტა ხნის წინ, როდესაც ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და მსოფლიოს პოლიტიკურ პარტიებს შორის გაიმართა მაღალი დონის დიალოგი, მან ამ შეხვედრაზე პირველად გაახმიანა გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა. მსოფლიო არსებულ არამდგრად ვითარებაზე ჩინეთის პასუხია მშვიდობა, განვითარება და ცივილიზაციებს შორის გამოცდილების გაზიარება. 2021 წელს პრეზიდენტ სის მიერ შემოთავაზებული გლობალური განვითარების ინიციატივა ორიენტირებულია განვითარებასა და ხალხზე. იგი უბიძგებს საერთაშორისო საზოგადოებას, მეტი ყურადღება დაუთმოს განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ხელს უწყობს ქვეყნებს შორის თანამშრომლობასა და მდგრად განვითარებას“, – აღნიშნა ჭოუ ციენმა.

მისი თქმით, უკრაინის კრიზისის დაწყების შემდეგ, 2022 წლის აპრილში სი ძინპინი გლობალური უსაფრთხოების ინიციატივით გამოვიდა.

„ეს არის უსაფრთხოების ახლებური გზა, რომელიც დაპირისპირების, ალიანსებისა და ნულოვანი ჯამის მქონე თამაშის საპირისპიროდ, დიალოგს, პარტნიორობასა და საერთო სარგებელს გვთავაზობს. იგი ხელს უწყობს ისეთი მსოფლიოს შექმნას, სადაც იქნება ხანგრძლივი მშვიდობა და საყოველთაო უსაფრთხოება. როგორც აღვნიშნე, მიმდინარე წლის 15 მარტს სი ძინპინმა გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა გააჟღერა.

ეს ინიციატივა მხარს უჭერს მსოფლიო ცივილიზაციების მრავალფეროვნების პატივისცემას, მთელი კაცობრიობის საერთო ღირებულებების პოპულარიზაციას საერთაშორისო კულტურული კავშირებისა და თანამშრომლობის გაძლიერებას, სირთულეების გადასალახად ერთმანეთის მხარდამხარ მოქმედებას, სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის ჰარმონიულ თანაცხოვრებას, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთგაგებასა და ურთიერთდათმობას.

ამ ინიციატივის ნაწილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ეხება ცივილიზაციების კულტურული მემკვიდრეობის განგრძობითობას და ინოვაციების დაფასებას. ვფიქრობ, ისეთი ძველი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებისთვის, როგორიცაა ჩინეთი და საქართველო ეს ფაქტორი არის განსაკურებით მნიშვნელოვანი, რადგან თანამედროვეობაში უნდა შევინარჩუნოთ როგორც ჩვენი კულტურული ტრადიციები, ასევე უნდა გამოვიყენოთ ინოვაციური ფაქტორები, რათა კიდევ უფრო გავამდიდროთ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და მოვერგოთ თანამედროვეობას.

სინამდვილეში, 100 წლის წინ ჩინეთმაც გამოიარა ძალიან დიდი კრიზისი, როდესაც იგი იყო დამონებული სხვა ქვეყნების მიერ და მაშინ ერთგვარი იმედგაცრება იყო ჩინური კულტურის მიმართ, თითქოს მან დაკარგა თავისი თვითმყოფადობა. თუმცა, 100-წლიანი ბრძოლის შედეგად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდა მარქსიზმისა და ჩინეთის ისტორიული და კულტურული ტრადიციების ერთმანეთთან შერწყმა, ჩვენ დავინახეთ, რომ ძველ ცივილიზაციებს აქვთ საკმაოდ ძლიერი სიცოცხლის უნარი. მნიშველოვანია, შევძლოთ თანამედროვეობასთან მორგება და ახალი ფაქტორების შეწოვა. თუ ამას მოვარხეხებთ, კულტურული პროგრესი გარდაუვალია“, – განაცხადა ჩინეთის ელჩმა.

მისი თქმით, ჩინეთსა და საქართველოს ძალიან ბევრ რამ აქვთ საერთო.

„ჩვენ, ორი ქვეყანა ძალიან ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, კულტურითა და ძველი ცივილიზაციით. თუმცა, ეკონომიკური და სოციალური სიძნელეების წინაშე, როდესაც გვაქვს ჩამორჩენის ფაქტორი, განსაკუთრებით, როდესაც არის შიდა არეულობა და კონფლიქტები, ჩვენი ქვეყნების ინტელიგენცია ბევრს ფიქრობს იმაზე, ხომ არ მოხდა კულტურული დეგრადაცია. თუმცა, ისტორიული პერსპექტივიდან თუ განვიხილავთ, ბრწყინვალე ცივილიზაციები ყოველთვის განიცდიდნენ სხვა ცივილიზაციების ზეგავლენას, ყოველთვის იღებდნენ სხვებისგან საუკეთესო უნარ-ჩვევებს და აღსანიშნავია, რომ ჩვენი ცივილიზაციები კიდევ უფრო ხანგრძლივია და კიდევ უფრო ბევრი ფაქტორია, რომელიც ჩვენ ხელს გვიწყობს. მჯერა, რომ თუ ჩვენ შევინარჩუნებთ იმ ბრწყინვალე კულტურულ ტრადიციებს, რომლებიც ისტორიულად გვაქვს და ამას შესაბამისობაში მოვიყვანთ მსოფლიოს ღირებულებებთან, ჩინური და ქართული ცივილიზაცია ახალ სასიცოცხლო ენერგიას შეიძენს.

მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ცივილიზაცია ეკოლოგიური სისტემის მსგავსია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიური სისტემა არის მრავალფეროვანი, მას აქვს სიცოცხლის ძლიერი უნარი და რეზისტენტულობა. იგივენაირად, როდესაც მსოფლიოში არის ცივილიზაციების მრავალფეროვნება, მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი მეტი წინსვლა და უკეთესი პროგრესი.

ვფიქრობ, თუ ხელს შევუწყობთ ცივილიზაციების მრავალფეროვნებას, მსოფლიოში უფრო ახალი სასიცოცხლო ძალები იქნება. ყველა ცივილიზაციას აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი, თუმცა მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც რამით აღემატება სხვებს, სხვებისგან რამით გამორჩეულია ან საუკეთესოთა შორის საუკეთესოა“, – აღნიშნა ჩინეთის ელჩმა.

მისი თქმით, ჩინეთის გლობალური თაოსნობები გამოხატავს ქვეყნის ძალისხმევას, მტკიცედ დაიცვას მშვიდობა.

„ისტორიამ დაგვანახა, რომ განვითარება მშვიდობის გარეშე იგივეა, რაც ხე ფესვების გარეშე, ხოლო მშვიდობა განვითარების გარეშე გემივითაა, რომელიც წინ ვერ მიცურავს. სხვადასხვა ცივილიზაციის ინკლუზიური თანაარსებობის, თანასწორობისა და ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების გარეშე არასტაბილურობისა და კონფლიქტებისგან თავის დაღწევა და გრძელვადიანი მშვიდობისა და განვითარების მიღწევა გაჭირდება.

ამგვარად ეს სამი ინიციტივა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, გამოხატავს ჩინეთის ძალისხმევას, მტკიცედ დაიცვას მშვიდობა, გამოხატავს ჩინეთის როგორც ყველაზე დიდი განვითარებადი ქვეყნის პასუხისმგებლიან დამოკიდებლობას“, – დასძინა ჩინეთის ელჩმა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲛᲐ ᲢᲐᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲩᲘᲜᲔᲗᲛᲐ ტაივანის სრუტეში, „მკაცრი გაფრთხილების“ მიზნით, სამხედრო წვრთნები დაიწყო.

აღნიშნულის მიზეზი ტაივანის პრეზიდენტის, ცაი ინ-ვენის აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერთან, კევინ მაკარტისთან კალიფორნიაში გამართული შეხვედრაა. ტაივანის ინფორმაციით, სწავლებაში, სულ მცირე, რვა სამხედრო ხომალდი და 42 თვითმფრინავი იღებს მონაწილეობას. ისინი მედიანური ხაზის გასწვრივ გადაადგილდებიან. სამდღიანი სწავლება დღეს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ტაივანს საკუთარ ტერიტორიად მოიაზრებს.

ᲙᲝᲠᲔᲐᲛ წᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲓᲠᲝᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲐ

ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო მედიის ინფორმაციით, ფხენიანმა მიმდინარე კვირის განმავლობაში მეორე წყალქვეშა დრონი გამოსცადა, რომელსაც ბირთვული ქობინით აღჭურვა შეუძლია.

„თავდაცვის ეროვნულმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ჩრდილოეთ კორეაში წყალქვეშა სტრატეგიული იარაღის სისტემის გამოცდა 4-დან 7 აპრილამდე ჩაატარა“, – აღნიშნულია ჩრდილოეთ კორეის ცენტრალური საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ტესტის შედეგად წყალქვეშა სტრატეგიული იარაღის სისტემის საიმედოობა და თავდასხმისუნარიანობა დამტკიცდა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲐ

რუსეთში იძულებით დეპორტირებული 31 უკრაინელი ბავშვი მშობლებს დაუბრუნდა. ბავშვების დაბრუნება საქველმოქმედო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ უკრაინის“ ორგანიზებით მოხერხდა. ისინი რუსეთიდან, ბელარუსის გავლით, უკრაინაში ჩაიყვანეს.

ერთ-ერთი გადარჩენილი ბავშვი ყვება, რომ მათ „ცხოველებივით“ ექცეოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მშობლებს ისინი აღარ სურდათ.

ომის დაწყების შემდეგ საოკუპაციო ძალებმა უკრაინიდან 16 000-ზე მეტი ბავშვი იძულებით რუსეთში გაიყვანეს.

ДАВИТ ЗАРДИАШВИЛИ:

РОМЕЦ ИЦНОМБДЕС ХОМИНСС, ЦХАДИА, ХАЛБАТОНИ ДЕГЕНАНИ ТАВИС АГЕНТС АР ХАУШВЕБДА...

ГРИГОЛ ЛИЛУАШВИЛИ **адасТуребс, рОм** мАрШАл ХОмИнсИс **сАХмИАнмА дАкАвШиребулИ иГо 7-8 мАрТис АкциебзЕ дЕсТрУкциУлАд гАнЧуомилИ ЖГУфебис дАТрЕинингебАсТАн. кЕрдмод, ис УШУАлод мОнАЩилЕОмдА Акциебис орГАнизАТоребис, мАТ шОрис „ФрАнкЛинис кЛУбис“ ЧАрмомАдГЕнЛебис мОмЗАдебАШи.**

СТრატეგიული კონსულტანტი, კრიზისების მენეჯერი და სპეციალისტი ევრაზიის საკითხებში საქართველოში შემოსვლას 9 აპრილს დაგეგმილი აქციისთვის გეგმავდა, თუმცა საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს. სუს-ის უფროსის განცხადებით, აშშ-ის მოქალაქის მარშალ ქომინსის ქვეყანაში არშემოშვების თაობაზე აშშ-ის საელჩო უწყებას არ დაკავშირებია. ლილუაშვილის განცხადებით, „ალბათ, მიზეზი თავადაც კარგად იციან“.

„ვადასტურებ, რომ ჯეიმსონ მარშალ ქომინსი არ შემოვიდა საქართველოში ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე. აკერმანი ცოცხალი აღარ არის, დააყენეთ ის კაცი საფლავში, შეიძლება ქომინსი უარეს საქმიანობასაც ეწეოდა. ვადასტურებ, რომ არის კონკრეტული ინფორმაციები, რომელიც ეყრდნობა მაღალი სანდოობის წყაროებს. აშშ-ის საელჩო არ დაგვკავშირებია რატომ არ შემოვუშვით, ალბათ, მიზეზი თავადაც კარგად იციან.

აკერმანიც რომ ცოცხალი ყოფილიყო და შემოსულიყო, არ შემოვუშვებდით, მას შემდეგ, რაც მხილებული იყო იმაში, რა საქმიანობითაც იყო დაკავებული. ვერ გეტყვით სანქციები პირდაპირ კავშირშია თუ არა მის არ შემოშვებასთან. ეს ამერიკულ მხარეს უნდა ვკითხოთ, თუმცა, შეიძლება კავშირი არსებობს კიდეც, შეიძლება არ არსებობს“, – განაცხადა **გრიგოლ ლილუაშვილმა.**

გავრცელებული ინფორმაციით, აკერმანის გარდაცვალების შემდეგ რადიკალების კონსულტანტი **ჯეიმსონ მარშალ ქომინსი** გახდა, რომელიც ე.წ. კრიზის მენეჯერია და აქვს ახლო კონტაქტები ყოფილი საგჯოთა კავშირის ქვეყნებში. ქომინსი და აკერმანი ერთი სტრატეგიით მოქმედებდნენ. შეგახსენებთ, რომ აკერმანმა გაკურიანში შეხვედრა გამართა ა-ო, სამოქალაქო მოძრაობებთან და ოპოზიციურ პარტიებთან. შეხვედრა ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს, თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოში „ავტორიტარიზმის“ დამარცხება დემოკრატიული პროცესით და არაძალადობრივი წინააღმდეგობით.

ამერიკის მოქალაქეები ქართველ რადიკალებს წვრთნიან, რაც შეიძლება მეტი იყოს აგრესია, დესტრუქცია და მოხდეს გადატრიალება ქვეყანაში, თუმცა **კელი დეგნანი** ამბობს, რომ მარშალ ქომინსს არ იცნობს და არც ჩამოსვლის მიზეზი იცის.

„საქართველოში ჩამოსვლა მევრ ადამიანს სურს. ეს საოცარი ადგილია. ამ პიროვნებას არ ვიცნობ და არ ვიცი, რისთვის მოდიოდა. იქნებ, ყაზბეგის მთის დალაშქვრა სურდა?! წარმოდგენა არ მაქვს! მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ამ პიროვნებას არ ვიცნობ. ამ საქმის შესახებ არ მსმენია, სანამ ლილუაშვილმა არ დაიწყო საუბარი მედიის საშუალებით. ამ საკითხთან დაკავშირებით კონტაქტი არ შემდგარა. როდესაც აშშ-ის მოქალაქე საელჩოს მიმართავს, ჩვენ ამაზე ვრეაგირებთ, თუმცა არ არსებობს გზა, რომლითაც საქართველოში შემოსული ყველა ამერიკელის შესახებ გვეცოდინება“, – განაცხადა **კელი დეგნანმა.**

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, დღეს დასავლეთში მიდის მუშაობა და არა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, რომ მოხდეს ხელისუფლების ცვლილება და შესაბამისად, დასავლეთის სახელმწიფო ლოიალურია ამ პოლიტიკის მიმართ და ეხმარება ამ პოლიტიკურ ჯგუფს საქართველოში.

„ეს არის ცხადი და ეს გამოჩნდა აშშ-ის ელჩის ინტერვიუში. იგივე ელჩის დამოკიდებულება იმ ცნობილ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც რუსულ კანონად გამოცხადდა. წარმოუდგენელი დისკომუნიკაცია, განსჯაში არ შედის და მთავარი არგუმენტი არის, რომ რუსული კანონია და მორჩა. რატომ არის რუსული კანონი, არ საუბრობს. ეს დეტალებია, მაგრამ სინამდვილე არის საგანგაშო. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეცვლილია. როგორც ჩანს, ეს სტრატეგიული პარტნიორობა შეიცვალა სტრატეგიული ვასალებით, გვთხოვენ იმას, რისი გაკეთებაც სახელმწიფოს არ შეუძლია. რაზეა საუბარი – ჩვენი ეროვნული ინტერესები გვერდზე გავწიოთ და ამერიკას გავყვეთ ბოლომდე“, – აცხადებს ზარდიაშვილი.

რაც შეეხება მარშალ ქომინსის საქართველოში არშემოშვებას, ანალიტიკოსის შეფასებით, სუს-მა სწორად იმოქმედა, რადგან საუბარია ადამიანზე, რომელიც ამზადებს რადიკალურ ჯგუფებს, რომლებიც, ბუნებრივია, გამოიყენებიან იმისათვის, რომ საქართველოში მოვიდეს ის ხელისუფლება, რომელიც ამერიკას ბოლომდე გაყვება იმ გზაზე, რაც საბოლოო ჯამში სრულიად უპრესპექტივოდ გამოიყურება და საქართველოსთვის იქნება დამღუპველი.

„ამერიკელებს უნდათ, რომ მსოფლიო წესრიგი შეინარჩუნონ, კერძოდ დაიბრუნონ ის ვითარება, რაც ომამდე არსებობდა, ეს წარმოუდგენელია. რაც უფრო მალე მიხვდებიან, რომ არ ღირს ამ მიზნის დასახვა, რომელიც მიუღწეველია, მით უკეთესია, ნაკლებ პრობლემებს გაიჩენენ თავად და, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც გაცილებით უკეთესი იქნება. რაც შეეხება ელჩის განცხადებას, რომ არ იცის ვინ არის ქომინსი – რასაკვირველია, ის არის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, სპეციალური ორგანიზაციის წევრი, რომლის მიზანი არის უცხო სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით ტრენინგების ჩატარება.

რომც იცნობდეს, ცხადია, ქალბატონი დეგნანი თავის აგენტს არ ჩაუშვებდა და უნდა ეთქვა ის, რაც თქვა, რომელიც არც არაფერს ამტკიცებს და არც უარყოფს. აქ მთავარია ზოგადი სურათი – საქართველოში დასავლეთის სახელმწიფოები არა, მაგრამ

რასაც ვეძახით გლობალური ომის პარტიას, ეს ძალა ცდილობს როგორმე საქართველოში მოხდეს ხელისუფლების ცვლილება“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **დავით ზარდიაშვილმა.**

თამთა ქარჩავა

ბრიტანელებს რუსეთში სანქცირებული პროდუქცია შეაქვთ

ბრიტანულმა კომპანია Mykines Corporation -მა ბოლო წელიწადის განმავლობაში რუსეთში მილიარდი დოლარის ღირებულების ელექტრონიკა შეიტანა, რომლის დიდი ნაწილიც სანქცირებული პროდუქციის ჩამონათვალშია შეტანილი.

ჟურნალისტები გაეცნენ საბაჟო სამსახურის დოკუმენტებს, საიდანაც ირკვევა, რომ **უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ Mykines Corporation-მა რუსეთში ნახევარგამტარები, სერვერები, ლეპტოპები, კომპიუტერის ნაწილები, სატელეკომუნიკაციო ქსელური აღჭურვილობა და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა შეიტანა. კერძოდ, საუბარია Huawei-ის, Intel-ის, AMD-ის, Apple-ისა და Samsung-ის პროდუქციაზე. რუსეთში შეტანილი პროდუქციის საერთო ღირებულება დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარია, მათ შორის სანქცირებული პროდუქციის ღირებულება 980 მილიონ დოლარს აღემატება. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიას რუსეთში პროდუქცია ომამდეც შეჰქონდა, თუმცა სანქციების დაწესების შემდეგ მისი გაყიდვების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა. ჟურნალისტებმა ასევე დაადგინეს, რომ რამდენიმე კონტრაგენტის შუამავლობით ამ პროდუქციის ნაწილის მიმღები შესაძლოა ყოფილიყო რუსული სახელმწიფო კორპორაცია „როსტეხი“, რომელიც აპროექტებს და აწარმოებს მათ შორის სამხედრო შეიარაღებას, კერძოდ, საავიაციო ტექნიკას.**



ამერიკისა და „აფხაზეთის ელჩები“ კრემლში გვერდიგვერდ იდგნენ

ორიოდ დღის წინ კრემლში, ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელების მიერ პრეზიდენტ პუტინისთვის რწმუნებათა სიგელების გადაცემის ოფიციალურ ცერემონიაზე რუსეთში აშშ-ის ახალ ელჩ ლიზ ტრეისის ოკუპირებული აფხაზეთის ახალი დე ფაქტო ელჩის – ალხას კვიცინიას გვერდში მოუწია დგომა.

ამ ფაქტის ამსახველმა ფოტომ, რომელიც სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში სწრაფად გავრცელდა, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ადგილობრივი კომენტატორები მომხდარს მიესალმებოდნენ და წერდნენ, რომ „ასე მოუწევს დასავლეთს შეგუება ახალ რეალობასთან, რომელსაც ამ დრომდე ჯიუტად არ აღიარებდა“.

„აქცენტმა“ **ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით რუსეთში აშშ-ის საელჩოს მიმართა და პოზიციის დადასტურება სთხოვა.**

საელჩოს პრეს-სპიკერის საპასუხო განცხადებაში ნათქვამია:

„რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები – სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. შეერთებული შტატები სრულად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, გაიყვანოს ძალები კონფლიქტამდელ პოზიციებზე, რათა დაუშვას ჰუმანიტარული დახმარების გაწევის შეუზღუდავი შესაძლებლობა, ასევე გაიწვიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება“.

ცნობისთვის: ცერემონიაზე, რომელიც კრემლის დიდი სასახლის ალექსანდრეს დარბაზში 5 აპრილს გაიმართა, პუტინმა აფხაზეთი „სტრატეგიულ მოკავშირედ“ და „უახლოეს მეზობლად“ მოიხსენია.

„წელს მნიშვნელოვან თარიღს – რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების“ გაფორმების მე-15 წლისთავს აღვნიშნავთ. რუსეთი გააგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აფხაზეთის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით“, – განაცხადა რუსეთის ლიდერმა.

აფხაზმა „ელჩმა“ პუტინს სიგელები დე ფაქტო საგარეო უწყების მიერ საგანგებოდ მომზადებულ უნიფორმაში გადასცა, რომელიც, როგორც „სამინისტროში“ აცხადებენ, აფხაზურ ეროვნულ ელემენტებს შეიცავს.

◎ აპრილის თეზისები

დაუსჯელობის გამოძახილი

გარეთ უკვე გაგანია გაზაფხულია, ტემპერატურის მატებასთან ერთად კი დასიცხულ ოპოზიციას ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური მოვლენების ზედაპირზე სატივტივო საბაბ-მიზეზები არ ელევა. რას ვიზამთ – ხომ უნდა ჰქონდეთ საპატაკოდ მარაგში რაიმე უცხოელ თუ თანამემამულე დამკვეთ-სპონსორთა და ადგილობრივ თანამოაზრე-წვრილფეხობისათვის, კარგახნის განმავლობაში პასიურობას რომ უწუნემდნენ?

ჯერ იყო და სტუდენტობის მიერ მარტის აქციებზე დანთებული საპროტესტო ცეცხლის ავტორობა მიითვისა ვანო-ორტრუპასა და ოლიგარქ კეზერას კარიკატურულმა ფალავანმა ხაბემ, ხოლო შემდეგ თვის ბოლომდე საღათას ძილს მიეცა და მეორე სუნთქვის გასახსნელად სულზე მოუსწრო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის **ბლინკენის** განცხადებამ, რომლის ძალითაც კიდევ ერთხელ უაპელაციოდ ჩაერივნენ ჩვენს შიდა საქმეებში და ოთხ გავლენიან ქართველ მოსამართლეს, ანუ ყბადაღებული კლანის ლიდერებს – **ჩინჩალაძეს, მურუსიძეს, ცერცვაძესა** და **შენგელიას** სანქციები დაეკისრათ, რაც მათ აშშ-ის ვიზის მიღებას უკრძალავს.

ბაბუაჩემი ისე წავიდა ამქვეყნიდან, ოკეანის გაღმა არ ყოფილა ნამყოფი, მაგრამ პატიოსანი კაცის სახელი კი დატოვა და როგორმე მეც ავიტან ასეთ ვერდიქტსო – სიმწრით წაიშაყირა ლევან მურუსიძემ, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, შემთხვევით ქართული ოცნების ხელისუფლების „დამსახურებაც“ ხომ არ არის კუბლაშვილის ეპოქის ნაცისტური სადამსჯელო სტრუქტურის ძირითადი დამრტყმელი ბირთვი დღესაც თბილად რომ არის მოკალათებული საკუთარ ბოსტნად ქცეულ კაბინეტებსა თუ სავარძლებში და თავი უცოდველ კრავად მოაქვს, თითქოს მათ სახელებს არ უკავშირდებოდეს უამრავი ქართველის შეწყვეტილ-დანგრეული სიცოცხლე. დიახ, ასეთია დასავლეთიდან შემოგდებული კოჰაბიტაციისა და უპრინციპობის შედეგი, რომელიც უფალმა უწყის, როდის და კიდევ რამდენჯერ გამოიწვევს უმართავ პროცესებს – დაუსჯელობა ხომ მორიგ დანაშაულს შობს?

იგივე შეიძლება ითქვას ახალ „პოლიტპატიმარ“ **ლაზარე გრიგორიადისის** საქმის შესახებაც, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, მოლოტოვის კოქტეილით პოლიციელის ლამის ცოცხლად დაწვის მცდელობისა და პატრულის ავტომანქანის აგიზგიზებისთვის დაეკავეს, ხოლო ოპოზიცია-ენჯეოებისთვის თმის ვითომ უნებართვოდ გადაპარსვისთვის უფლებაშელახულ მეამბოხედ და სამშობლოს ევროპული მომავლისათვის მებრძოლად წარმოჩინდა, აქაოდა ოფიციოზმა 21 წლის ყმაწვილი რაღაც იმნაირი გარეგნობისა და გაურკვეველი ორიენტაციისთვის აითვალწუნა და საციხოდ გაწირაო.

კი მაგრამ, რა ვუყოთ მის მიერ საკუთარი მამის ცივი იარაღით დაჭრის ფაქტს? ხომ არ არის რუსთაველზე ერთი თვის წინათ ლაზარეში გაღვიძებული კოცონის დანთების ვნება უახლოეს წარსულში მაშინდელ პრემიერ **გახარიას** მიერ იქვე შეკრებილი ჭრელი საზოგადოებისთვის სახალხოდ მოხდილი ბოდიშის გამოძახილი, რეალურად კლუბ „ბასიანის“ ბნელ ტალანებში წესრიგის დამყარების უშედეგო მცდელობას რომ მოჰყვა?

დიდი ალბათობით, არც უმაგისობაა, რაც დაუსჯელობის სინდრომის კიდევ ერთ დამღუპველ გაკვეთილად შეგვიძლია მივიჩნიოთ, საიდანაც დასკვნები ვერა და ვერ გამოგვაქვს.

სიმბოლურია, რომ ბზობის კვირა საამაყო ინფორმაციით აღინიშნა, რომელშიც, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ყოველივე ქართულის მტერი ბანაკის წარმომადგენელნი რაიმე საქილიკოს მაინც გამოჩხრიკავენ. ეს საუკეთესო შემთხვევაში, თუმცა არც ისაა გამორიცხული, როგორც სჩვევიათ, უფრო შორსაც წავიდნენ და ბოღმის ნთხევაც დაიწყონ.

საუბარია საპარლამენტო უმრავლესობის ღირსეულ წევრ **ლევან კობიაშვილზე,** რომელიც პირველი ქართველია, უეფას აღმასკომში რომ აირჩიეს.

კიდევ კარგი, სახელოვან სპორტსმენს ევროპაშიც რომ აფასებენ და უცხადებენ ნდობას, თორემ ჩვენში ხომ წესად იქცა, უტიფრად იგესლაონ, როგორ შეიძლება იგი ერთდროულად დეპუტატიც იყოს და მესამე ვადით აირჩიონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტადო!

გია პლატონიშვილი

◎ თარილი

პროფესორი – წყალშიც, ხმელეთზეც

მას ვერცხლი სიჭაბუკიდანვე დაებედა – ჯერ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე დაიმსახურა ვიცე-ჩემპიონობა, ხოლო მალევე სკოლაც აღნიშნული ჯილდოთი დაამთავრა.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ლერი გოგოლაძე** ხანგრძლივი დროის განმავლობაში იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას, საბჭოეთის ნაკრების ასევე ძირითადი მეკარე კი 1958-1964 წლებში გახლდათ. უმდიდრესია საამაყო კარიერაში დაკავებული საპრიზო ადგილების კოლექციაც: რომის ოლიმპიადის, ევროპის ჩემპიონატისა თუ მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლი, აგრეთვე ქვეყნის ჩემპიონატებსა და ხალხთა სპარტაკიადებზე მოხვეჭილი ვერცხლ-ბრინჯაო და მრავალ საერთაშორისო ტურნირში მოპოვებული გამარჯვება. აღარაფერს ვამბობთ მნიშვნელოვან ტურნირებზე მიღებულ საუკეთესო მეკარის პრიზებსა თუ სსრკ-ს საუკეთესო წყალბურთელთა შორის 5-ჯერ დასახელებაზე.

სახელოვანი ვეტერანი სიამაყით იხსენებს 60 წლის წინანდელ ფაქტს, როცა დერჟავის წყალბურთელებმა და ფეხბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით – 1:0 მოუგეს, შესაბამისად, იუგოსლავებსა და ინგლისელებს და „სოვეტსკი სპორტმა“ დაწერა: ჩვენი საწყლოსნო და სახმელეთო საზღვრები საიმედოდაა დაცულიო.

თაობათა კერპების – **პეტრე მშვენიერაძის, ნოდარ გვახარიასა** და **გივი ჩიქვანაიას** საიმედო ზურგის შთამბეჭდავი გზა მწვერვალებისაკენ კი 1954 წელს დაიწყო, როცა მამამ ცურვის მწვრთნელ **პეტრე დადიანიძესთან** მიიყვანა ბავშვთა წრეში – იქნებ ცოტათი მოღონიერდესო. ბედისწერამ კიდევ უფრო ნათელი მომავალი მაშინ დააბერტყა, როცა ერთხელ წყალბურთელებთან ვარჯიშის დროს ორკარას თამაშისას გოლკიპერი დააკლდათ და **როსტომ ჩაჩავამ** კაცნაკლული გუნდის დახმარება შესთავაზა. კიდევ კარგი...

ამ დღეებში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თსუ-ს ყოფილ პრორექტორსა და კათედრის გამგეს, ღირსების ორდენის კავალერ ლერი გოგოლაძეს 85 წელი შეუსრულდა.

მრავალჟამიერ, მეცხოვნევ!

„სრ“ სპორტის რედაქცია.

◎ ლეგიონერი

ლუკას პირველი...

იტალიის სერია A-ს 29-ე ტურში „კრემონეზემ“ პირდაპირი კონკურენტი „სამპდორია“ სტუმრად 3:2 დაამარცხა. ლუკა ლოჩოშვილმა კი სერია A-ში სადებიუტო გოლი გაიტანა!

თავიდანვე ვთქვათ, რომ ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. „კრემონეზე“ ორჯერ აგებდა, უფრო კონკრეტულად 85-ე წუთამდე ანგარიში 1:2 იყო, მაგრამ ლუკა შეტევაში ჩაერთო და წონასწორობა აღადგინა. ის მეოთხე ქართველი ფეხბურთელი გახდა კახა კალაძის, ლევან მჭედლიძისა და ხვიჩა კვარაცხელიას შემდეგ, რომელმაც იტალიის სერია A-ში ბურთი გაიტანა.

ლელოების წვიმა მონტევიდეოში

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

სამხრეთამერიკული ტურნეს სასტარტო მატჩი ზღაპრული გამარჯვებით დაასრულა პირველმა ქართულმა ფრენჩაიზმა შავმა ლომმა.

ლევან მაისაშვილის გაწვრთნილმა ევროპის სუპერთასის ორგზის მფლობელებმა შავი დღე აყარეს იქაური სუპერლიგის ლიდერ არგენტინულ კლუბს დოგოს XV-ს – 75:19 (პირველი ტაიმი – 56:0)! გუნდის კაპიტან **მერაბ შარიქაძის** არყოფნაში მონტევიდეოს შარუას ხელოვნურსაფარიან სარბიელზე გამართულ უთანასწორო ბრძოლაში სტუმართაგან ლელოების ავტორები გახდნენ **გაჩეჩილაძე (2), ზამთარაძე, ლაშხი, პერანიძე, ბაბუნაშვილი, მოდებაძე, აქუბარდია (შესვენებამდე), ხმალაძე, მათიაშვილი** და **თაფლაძე,** ხოლო 11-დან 10 გარდასახვა **მატკავამ** გამოიყენა.

შავი ლომის დანარჩენი მატჩების კალენდარი ასეთია: **14 აპრილი** – ჩილეს სელკმენი, **21 აპრილი** – არგენტინის პამპასი, **29 აპრილი** – სუდამერიკა რაგბი XV, **6 მაისი** – პენიაროლი, რომელიც ამერიკული სუპერლიგის შარშანდელი გათამაშების გამარჯვეულია.

ტაო-კლარჯეთში ქართული ტაძრები იტბორება!

(მეორე გვერდიდან)

შედეგად, კაშხლის წყლით იფარება ძალიან დიდი ტერიტორია, დაწყებული იუსუფელიდან, დამთავრებული ეთნიკური ქართველებით დასახლებული ძირითადი რაიონებით, ბორჩხა და სხვა. კაშხალი სხვა პრობლემებსაც ქმნის, მდინარე ჭოროხის წყალი გამეჩხერდება, რაც საქართველოს ეკოლოგიურ ზიანს მიაყენებს. როგორც ცნობილია, მდინარე ჭოროხის მიერ ჩამოტანილი ნატანები (ქვა-ღორღი, კლდოვანი ნალექები) ქობულეთის სანაპიროს ამაგრებს. ჭოროხს სათავეში პარხალის წყალი უერთდება და უნდა გამოიაროს მთელი ტაო-კლარჯეთი, ანუ ქართული რეგიონები და ბათუმთან შავ ზღვაში ჩავიდეს. ამდენად, შეიძლება გამეჩხერებულმა წყალმა მოშალოს ქობულეთის პლაჟი, ქობულეთის სანაპირო. რამდენიმე წლის შემდეგ კი ჭოროხი პატარა წყაროსავით იქნება.

„ტაო-კლარჯეთში მდებარე ჩვენს მთავარ ტაძრებს დატბორვა არ ემუქრებათ იმის გამო, რომ, საბედნიეროდ, ჩვენი ტაძრები მაღალ ადგილებზეა განლაგებული. ოთხთას და პარხალის ტაძრებამდე წყალი ვერ აღწევს. უბრალოდ, შეიძლება ტურისტების მისვლა გაძნელდეს, რადგან იქამდე მისასვლელი ავტოგზა იტბორება. თუმცა ქვედა ტერიტორიებზე მდებარე ჩვენი ძეგლები დაიტბორება“, – აცხადებს ზაურ მჭედლიშვილი for.ge-სთან საუბარში.

მისივე განმარტებით, იუნესკო თითქმის არ ჩარეულა ამ საქმეში. თურქეთს თავისი გეგმები აქვს, თურქეთის ახლანდელი პრეზიდენტი მაინცდამაინც არავის უსმენს, ძირითადად შეერთებულ შტატებს უგდებს ყურს, რადგან მაინც ნატოს წევრი ქვეყანაა. თუ არსებობს დღეს თურქეთის შეიარაღება და მისი სიძლიერე, ყველაფერი შეერთებული შტატების ძალისხმევითაა და მისი მადლიერი უნდა იყოს თურქეთი. ამ კაშხლის საწინააღმდეგოდ იუნესკოს თავის დროზე რომც ემოქმედა და შენიშვნა მიეცა, რომ იფარება ქართული ისტორიული ძეგლები, თურქეთის დღევანდელი მთავრობა ამას დიდ ყურადღებას არ მიაქცევდა.

ყოფილი დიპლომატი იხსენებს, რომ 2010 წელს, როდესაც ევროკავშირში შესვლის შანსი კიდევ ჰქონდა თურქეთს, ევროკავშირის მოწოდებით, ამ ქვეყანამ ისტორიული ძეგლების პატრონებისადმი გადაცემა განახორციელა. სომხეთს დაუბრუნდა თავისი ეკლესიები და ეკლესიების გარშემო ტერიტორიები, ბერძნებს, სირიელ ქრისტიანებსაც დაუბრუნდათ ეკლესიები, ოღონდ საქართველოს არ დაბრუნებია ქართული ეკლესიები, რადგან ისინი თურქეთის სახელმწიფოს საკუთრებად ითვლება. მაშინ რომ გამოეჩინა ევროკავშირს თავისი ნება და მიეთითებინა თურქეთისთვის, რომ იქ ქართული ტაძრებიცაა, შეიძლებოდა ქართული ტაძრები დაგვბრუნებოდა. თუმცა, როგორც წესი, ჩვენი მთავრობები თურქეთთან მიმართებით პრინციპულად ვერ იქცევიან. ენაწყლიანობით, მელიის ეშმაკობით შეიძლებოდა რაღაცის მიღწევა, მაგრამ მოხდა ისე, რომ არც ერთი ქართული ძეგლი ქართულ ეკლესიას არ გადმოსცემია.

ზაურ მჭედლიშვილი ეხმიანება იმ მოსაზრებასაც, რომლის მიხედვითაც, ცალკეული ადამიანები ფიქრობენ, ხომ არ ჯობდა, ქართული ძეგლები ან ფრესკები სხვა ადგილას გადაგვეტანა, სადაც მათ დატბორვა არ დაემუქრება. ყოფილი დიპლომატი მიიჩნევს, რომ ამით ჩვენი ძეგლები დაკარგავენ თავიანთ ღირსებას, ტაო-კლარჯეთის ლანდშაფტს, სადაც ისტორიულად იყო აშენებული ჩვენი ეკლესიები. თანაც, ამას საკმაოდ დიდი ხარჯები დასჭირდება.

თეოლოგი **ლევან აბაშიძე** მიიჩნევს, რომ ტაო-კლარჯეთის ძეგლები მხოლოდ საქართველოს არ ეკუთვნის, ის ეკუთვნის, ასევე, თურქეთის რესპუბლიკასაც, რადგან დღევანდელ დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა და მსოფლიოს საკუთრებაში არსებული ძეგლებია. ამიტომ კომპრომისი უნდა გამოინახოს.

„გასაგებია, რომ თურქეთს კაშხალი და ელექტროენერგია სჭირდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ძეგლების გადარჩენა აუცილებელია. ან უნდა მოხდეს ამ ძეგლების გადატანა, ან დაცვა, ან რაღაც კომპრომისი. სხვათა შორის, ფრესკებიც მოუხსნიათ და ჩამოუტანიათ მუზეუმში, მაგალითად, კუს ტბაზე რომ სვანური კოშკია, ის სვანეთიდანაა ჩამოტანილი, დაშლილი და შემდეგ ზუსტად ისევე აწყობილი. საქართველოშიც არის მეჩეთი და მუსლიმანური წარმართული ძეგლები, ისინი ჩვენს ძეგლებად ითვლება და არა თურქეთის ან სპარსეთის ძეგლად. ასევე უნდა იყოს თურქეთისთვის პარხალი და ოშკი. ჩვენ ვიცავთ მათ ძეგლებს. ჯერ ერთი, იმ ხალხის შთამომავლები, რომლებიც ტაოსა და კლარჯეთში ცხოვრობენ, თურქეთის მოქალაქეები არიან. საქართველოს მსგავსად, თურქეთი მრავალეთნიკური ქვეყანაა, იქ ლაზები ცხოვრობენ, ანუ ქართველთა სუბეთნიკური ჯგუფი, ქართველები ცხოვრობენ და ათასი ეთნიკური ჯგუფი. ეს ძეგლი მათიცაა“, – გვიცხადებს ლევან აბაშიძე.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **დიმიტრი შველიძე** ფიქრობს, რომ ქართველები მაინცდამაინც დიდად არ ვართ განებივრებულნი ქართული ისტორიული ძეგლების სრულყოფილად შენახვით. ძველ საუკუნეებში ჩვენ ისეთი მტრები გვყავდა, ძირფესვიანად გვანგრევდნენ, საერო სასახლეებიც კი თითქმის არ არის შემონახული საქართველოში. მაშინ, როცა ევროპაში ქვეყნები ერთმანეთს თავს რომ ესხმოდნენ, საერო მნიშვნელობის ძეგლებსაც კი არ ანგრევდნენ, არ წვავდნენ, მიწასთან არ ასწორებდნენ, რელიგიური მნიშვნელობის ძეგლებზე რომ არაფერი ვთქვათ.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი **დავით ჭიჭინაძე** ამბობს, რომ თავის დროზე უნდა დაეფიქსირებინა ქართულ მხარეს უკმაყოფილება ტაო-კლარჯეთის ძეგლების დასაცავად, თუმცა რამეს შეცვლიდა თუ არა ქართული მხარე, ამის თქმა რთულია.

არმენოლოგი **ბონდო არველაძე** მიიჩნევს, რომ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე საქართველოს ისტორიული ძეგლები საფრთხის ქვეშაა, ეს იგივეა, საქართველოს ისტორია წაშალონ და გააუბედურონ. ამიტომ, თუ რამე საშუალებაა, ჩვენმა მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს და იუნესკო, საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა აამოქმედონ.

არჩილ ნოზაძე

მასშტაბური საველე სწავლება

საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითმა ბატალიონმა წვრთნისა და შეფასების პროგრამა ვაზიანის პოლიგონზე საჩვენებელი სწავლებით დაასრულა.

სიმულაციური სცენარის მიხედვით მოეწყო თავდაცვითი პოზიციები, განხორციელდა რეიდი, მოხდა პირობითი მოწინააღმდეგის შეყოვნება და მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის შენარჩუნება. სწავლებას თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენერალ-მაიორი ზაზა ჩხაიძე, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი, პოლკოვნიკი ზურაგ ხვიჩია და დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი კობა გრიგოლია დაესწრნენ.

ოთხკვირიანი სწავლების განმავლობაში 31-ე ქვეითი ბატალიონის „ალფა“, „ბრავო“ და „ჩარლი“ ქვეითი ასეულების ქვედანაყოფებმა რეალურ ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში პრაქტიკული მეცადინეობები გაიარეს. სწავლება სამი ფაზისაგან შედგებოდა. პირველი ეტაპი სამეთაურო-საშტაბო სწავლებას მოიცავდა, მეორე ეტაპი საველე-სიტუაციურ სწავლებას დაეთმო, ხოლო დასკვნითი ფაზა ბატალიონის საბრძოლო სროლებს ითვალისწინებდა.

სანთელი

საქართველოს საამაყო შვილი

ჯამლეტ ხუხაშვილის სამძიმარი



კიდევ ერთი საამაყო შვილი დააკლდა საქართველოს — გარდაიცვალა ჟურნალისტი, სპორტული კომენტატორი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრი

ჯამლეტ ხუხაშვილი

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ჯამლეტის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, სამეგობროს და სრულიად საქართველოს.

თამაზ შილაკაძე,
კულტურის ფონდის თავმჯდომარე

ი. ოსიპოვი, ჯ. ხუხაშვილი, რ. ჭავჭანიძე.

იური, რუსიკო, გუგა, კოკი ოსიპოვი-ჭავჭანიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის ახლობელი, დიდი თბილისელი და საქართველოს პატრიოტი, მსოფლიოში ცნობილი სპორტული კომენტატორი და საერთოდ კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელი

ჯამლეტ ხუხაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.



თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა, ოჯახის მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამორჩეული მოქალაქე, მეცნიერი და ექიმი-სპეციალისტი კომპიუტერული ტომოგრაფიის სფეროში

ნიკოლოზ ხუტულაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ჯემალ კვირტიას ოჯახს.

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, გულთაზ ლაბარტყავა, გია სვანიძე, ბესო ქორქია, ვახტანგ ჩიქოვანი.

„ბარაქიანი მიწა“ ფრანგულ ენაზე

პარიზში, ასოციაცია ფრანგულმა რენესანსმა, საფრანგეთში საქართველოს საელჩოსა და „სილქნეტის“ ორგანიზებით, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში პოეტ დათო მაღრაძეს და მისი პოემის „ბარაქიან მიწის“ ფრანგულ ვერსიას უმასპინძლა.

წიგნის განხილვაში მონაწილეობდნენ: ზღვისიქითა აკადემიის პრეზიდენტი როლან პურტიე, ასოციაცია ფრანგული რენესანსის ვიცეპრეზიდენტი მიშელ ლებონი, ფრანგი პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი კაროლ მესრობიანი, გამომცემლობა – Edition Du Cygne-ს რედაქტორ-გამომცემელი პატრის კანოსე. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს სრულუფლებიამი ელჩი საფრანგეთში გოჩა ჯავახიშვილი.

ფრანგმა მსახიობმა ალან რიბერამ და დათო მაღრაძემ აუდიტორიას ფრანგულ- ქართული პერფორმანსი შესთავაზეს და „ბარაქიანი მიწიდან“ ფრაგმენტები წაიკითხეს.

ვალერი მელაძე უკრაინის არმიას აფინანსებდა?



მოსკოვის პროკურატურა შეამოწმებს, ხომ არ აფინანსებდა ცნობილი მომღერალი ვალერი მელაძე უკრაინის შეიარაღებულ ძალებს. შესაბამისი დავალება მოსკოვის პროკურატურას რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მისცა.

შემოწმებას წინ უძღოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის „უსაფრთხოების და კორუფციასთან ბრძოლის ფედერალური პროექტის“ ხელმძღვანელის ვიტალი ბოროდინის განცხადება, რომ მელაძე არაერთხელ გამოსულა ე. წ. სპეციალური ოპერაციის კრიტიკით და დუბაიში ერთ-ერთ კონცერტზე უკრაინელი ნაციონალისტების ლოზუნგი გაიმეორა. მანამდე ბოროდინმა პროკურატურაში იუმორისტ სემიონ სლეპაკოვსა და მომღერალ დიანა არგენინაზეც დააბეზღა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე რუსეთში ვალერი მელაძის ბევრი კონცერტი გაუქმდა. მათ შორის დაგეგმილი იყო კონცერტები მოსკოვში, დონის როსტოვში, ნოვოსიბირსკში და სხვა ქალაქებში. მელაძე არაოფიციალურ აკრძალულ არტისტთა სიაში მოხვდა. ასევე ის ბელარუსის აკრძალული არტისტების სიაშიც შეიყვანეს.

ფული პიკის საათებში მოძრაობის სანაცვლოდ

საფრანგეთის ქალაქ ლილის მერია იმ მოქალაქეებს, რომლებიც პიკის საათში ავტომობილით მგზავრობაზე უარს იტყვიან, ფულს გადაუხდის. პირადი სარგებლობის ტრანსპორტზე უარის თქმის შედეგად თვეში 80 ევროს გამომუშავება იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი მედიის ცნობით, ასე ლილის მერია საცობების პრობლემის მოგვარებას გეგმავს.

საპილოტო ექსპერიმენტში 5000 მძღოლი მიიღებს მონაწილეობას. 07:00-09:00 და 16:30-18:30 საათებში მათი ავტომობილების გადაადგილებას მერია GPS-ტრეკერის საშუალებით დაკვირდება. ერთ მგზავრობაზე უარის თქმის შემთხვევაში მძღოლი 2 ევროს მიიღებს, რაც დღეში 4 ევროს, თვეში კი 80 ევროს შეადგენს. მერიაში აცხადებენ, რომ საცობების რაოდენობა და მასშტაბი საგრძნობლად შემცირდება, თუ ავტომობილების მძღოლთა 6% მაინც პიკის საათში მგზავრობაზე უარს იტყვის.

მეორე „ჯოკერის“ გადაღებები დასრულდა



„ჯოკერის“ სიქველის გადაღებები დასრულდა. ამის აღსანიშნავად DC-მ და ფილმის რეჟისორმა ტოდ ფილიპსმა სურათში მთავარი როლის შემსრულებლების – ხოაკინ ფენიქსის და ლედი გაგას ახალი ფოტოები გამოაქვეყნა.

ლეგენდარულმა კოპოლამ ფილმის გადაღებას 40 წელი შეალია

რეჟისორმა ფრენსის ფორდ კოპოლამ სამეცნიერო-ფანტასტიკური დრამის „მეგაპოლისი“ გადაღებები დაასრულა.

ფილმზე მუშაობა რეჟისორმა ჯერ კიდევ 40 წლის წინ დაიწყო. სურათის მოქმედება მომავალში ვითარდება და გენიალური არქიტექტორის შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც სტიქიური უბედურების შემდეგ ნიუ-იორკის თავიდან აშენება და მსოფლიოს გრანდიოზულ დედაქალაქად გარდაქმნა უნდა.

მთავარ როლებს ფილმში ადამ დრაივერი, ფორესტ უიტაკერი, ნატალი ემანუელი, ჯონ ვოიტი, ლორენს ფიშბერნი, ობრი პლაზა და შაია ლაბაფი ასრულებენ. სურათის პრემიერა სავარაუდოდ 2024 წელს შედგება. პროექტის ბიუჯეტი 100 მილიონი დოლარია. რეჟისორი მას თავად აფინანსებს. ამისთვის მას საკუთარი ღვინის ბიზნესის ნაწილის გაყიდვა და კრედიტის აღება დასჭირდა.

92 წლის რუპერტ მერდოკი საცოლეს დაშორდა



მედიამაგნატი თავის 66 წლის საცოლეს – ენ ლესლი სმიტს დაშორდა. ამის მიზეზი სმიტის რელიგიური შეხედულებები გახდა. კერძოდ, მერდოკს დისკომფორტს უქმნიდა საცოლის ევანგელისტური რწმენა. მედიამაგნატმა ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

მერდოკმა ნიშნობის შესახებ მარტში განაცხადა. New York Post-თან ინტერვიუში ის ამბობდა, რომ ქორწილი ზაფხულის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ეს ქორწინება მილიარდერისთვის მეხუთე უნდა გამხდარიყო, მეოთხე ცოლს ის 2022 წლის აგვისტოში დაშორდა.

ასაკოვანმა მეგობრებმა მსოფლიო შემოიარეს

81 წლის მეგობრებმა 80 დღეში მსოფლიოს შვიდივე კონტინენტზე იმოგზაურეს. „სხვათა შორის, მოგზაურობა სენდის იდეა იყო. შემომთავაზა, რომ 80 წლის ასაკში, 80 დღეში მთელი მსოფლიო მოგვევლო“, – განაცხადა ელი ჰამმმა.

ჰამის თქმით, პანდემიის გამო მოგზაურობა მეგობრებმა იქამდე ვერ დაიწყეს, სანამ 81 წელი არ შეუსრულდათ. ელი და სენდი, უკვე 23 წელია მეგობრობენ. რამდენჯერმე სხვა და სხვა ადგილას მოგზაურობის გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ მათთვის ეს გამოწვევა მაინც საეჭვო იყო, ამიტომ ამისთვის წლები ემზადებოდნენ. მეგობრებმა ტეხასიდან სტარტი იანვარში აიღეს და მათი პირველი გაჩერება ანტარქტიდა იყო. მათ სოციალურ ქსელში სამოგზაურო გვერდიც შექმნეს.

გაიყიდება უმსხვილესი ლალის ქვა



Sotheby-ს აუქციონზე ლალი „ესტრელა დე ფურა“ გაიყიდება. ძვირფასი ქვა 55.22 კარატს იწონის და ეს უდიდესი ლალია, რომელიც ოდესმე აუქციონზე გაუტანიათ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „ესტრელა დე ფურა“ შესაძლოა 30.3 მილიონად დოლარად გაიყიდოს. ვაჭრობა ივნისში, ნიუ-იორკში გაიმართება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
ბოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 13 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5330; ევრო - 2.7655;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1513;
100 რუბლი - 3.0692; თურქული ლირა - 0.1315;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4925;
1000 სომხური დრამი - 6.5203

ამინდი 10 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +13
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +20
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +20
თბილისი: ღამე +9, დღე +17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge